



ახალი განათლება

28.11-04.12.2019

№37 (871) გაშვების 1998 წლიდან

www.akhaliganatleba.ge

ლალი ჯალაძე

2

უმაღლესები 2020 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებას ელექტრონულად გამოაცხადებენ

ინტარვიუ სალომე ჯაფარიძესთან

✓ ელექტრონული გახდა ანექტა-კითხვარების წახდგენის, დადასტურების, სახვების დადგენის, სახვების აღმოფხვრის, საბოლოო ინფორმაციის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის მონოდეების ჰომოცეები. ხა ჰესები აქვს ელექტრონულ სისტემაზე გადასვლას?

ლალი ჯალაძე

3

საქართველოში მოსწავლეთა სწავლის შედეგები უმჯობესდება, თუმცა თანასწორობა კრობლემად რჩება



ანა ფრსხლანიშვილი

4

თვითგამორკვევის საუკეთესო გზა



✓ მუხანის ჰიველ საჯიმ სეოლას სეიომული მიზანი აქვს - მოიპოვოს ჰომოცეული საგანმანათლებლო ჰომოცეების განმაროციელებელი დანესებლების სტატუსი ავტოიზაციის გავლით.

ლალი ჯალაძე

2

ცვლილება 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ისტორიისა და მათემატიკის ტესტში

✓ დადგინდა მინიმალური კომპეტენციის ზღვაი: აბიკეიონეს გადაახუად ჩეთვლება, თუ ის უცხოეი ენისა და მათემატიკის გამოცდებში დაახომვებს ამ საგნებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქლის 20%-ზე მეტს, ზოგადი უნახების გამოცდებში - 30%-ზე მეტს, ხოლო ყველა სხვა საგანში - მაქსიმალური ქლის 25%-ზე მეტს.



უმალესები 2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდაზე მიღების გამოცხადებას ელექტრონულად შეძლებენ



მალე დაიწყება

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბიზნესის ანალიზისა და პროექტების მართვის სამუშაო ჯგუფის, პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურისა და შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის თანამშრომლობით, შეიქმნა ერთიან ეროვნულ გამოცდაზე აკადემიური უმალესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების ელექტრონული ანკეტა-კითხვარი.

უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, 2020 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდაზე, მიღების გამოცხადებას ელექტრონულად შეძლებენ. ამ მიზნით შექმნილ ელექტრონულ ანკეტა-კითხვარში შეესრულება მათ მიერ წარმოსადგენი ინფორმაციის დიდი ნაწილი. განახლებული საგამოცდო ფორმატის გათვალისწინებით, ელექტრონული ანკეტა-კითხვარში უზრუნველყოფილია დაწესებულებების მექანიკური და ტექნიკური შეცდომებისგან დაცვა.

21 და 22 ნოემბერს, უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობით, ჩატარდა ელექტრონული ანკეტა-კითხვარის პილოტირება. საინფორმაციო შეხვედრებზე უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა სიახლე პროგრესულ მოვლენად შეაფასეს.

რა დადებითი მხარე აქვს განახლებულ მიდგომას, ამის შესახებ საუბრობს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ბიზნეს ანალიზისა და პროექტების მართვის სამუშაო ჯგუფის უფროსი **სალომე ჯაფარიძე**:

– ელექტრონული გახდა ანკეტა-კითხვარების წარდგენის, დადასტურების, ხარვეზის დადგენის, ხარვეზის აღმოფხვრის, საბოლოო ინფორმაციის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის მონოდების პროცესები. რა პლუსები აქვს ელექტრონულ სისტემაზე გადასვლას?

– წლების განმავლობაში, ამ პროცესის ადმინისტრირებას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებდა და დაწესებულებებსა და ცენტრს შორის პროცესი ჩვეულებრივი მატერიალური დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით წარმართებოდა. უმალესებს ფურცლებზე აწყობილი განაცხადები შეჰქონდათ, რომელსაც შემდეგ ცენტრი ახარვეზებდა. უამრავი შეცდომის გამო, ხანდახან ექსპერტ ხარვეზებდებოდა და უკან ბრუნდებოდა, ამიტომ წარმოებისთვის დაწესებული იყო ერთთვიანი ვადა, რომ 10 იანვრამდე ანკეტა-კითხვარების დადასტურება მოსწრებულიყო. ახლა, ერთი მხრივ, შეიცვალა ეროვნული გამოცდების ფორმატი და, მეორე მხრივ, ეს სისტემა შეიცვალა. პროცესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას გადამოცა. ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ სასწავლო დაწესებულებებისთვის შეგვემსუბუქებინა ტვირთი – შევიშუშავთ და შევქმენით ელექტრონული ანკეტა-კითხვარის ფორმა, რომელიც დაერ-

თებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრზე.

ამდენად ანკეტაში უმალესებს ახლა მცირე ნაწილის შევსება მოუწევთ. დაწესებულების შესახებ ინფორმაცია, ავტორიზაციის ფარგლებში პროგრამების ჩამონათვალი, მთელი თავისი მახასიათებლებით, აკრედიტაციის სტატუსი და ვადა, განხორციელების ხანგრძლივობა, ენა, კრედიტები და ა.შ. – ეს გრაფები დაწესებულებას ავტომატურად შევსებული დახვდება, შესაბამისად, მათ მხოლოდ იმის ჩაწერა მოუწევთ, რამდენ ადამიანს იღებენ კონკრეტულ პროგრამაზე, როგორ ანიჭებენ ეროვნული გამოცდებისთვის კოეფიციენტებს ამა თუ იმ საგანს და საგნებს – პრიორიტეტებს, მხოლოდ ამას განსაზღვრავს უმალესი სასწავლებელი, დანარჩენი ინფორმაცია თითქმის მზა ხდება ელექტრონულ ანკეტაში. უმალესი მიუთითებს იმ არჩევით და საფალებულ საგნებსაც, რომელიც ასევე შეტანილია ანკეტა-კითხვარში, უბრალოდ, ირჩევს სივრციდან (ესეც მარტივია მენეჯმენტისთვის) და უკვე შეესრულს სრულყოფილ ინფორმაციას ელექტრონულად წარადგენს მართვის სისტემაში.

შემდეგ ჩვენ ელექტრონულად ვადგენთ თვალს ამ ინფორმაციას. ძალიან მარტივია სისტემებს შორის შედარება, წარმოდგენილი უზუსტობის შემთხვევაში, ხარვეზის დადგენაც ელექტრონულად ხდება. კოეფიციენტების ჯამს, პრიორიტეტების რაოდენობას და ა.შ. პროგრამა თავისით ითვლის. შესაბამისად, აჯამებს გამოცხადებული ადგილების რაოდენობას, რაც ყველაზე რთული პროცესი იყო ხოლმე და, რაც მთავარია, აღარ არსებობს შანსი ფიზიკურად მასზე მეტი მიღების გამოცხადების, რისი უფლებაც, უმალეს დაწესებულებებს, რეალურად, ავტორიზაციით აქვს მინიჭებული. ვფიქრობთ, ეს ყველაზე დიდი მიღწევა იმიტომ, რომ ხარვეზის პირველი წყარო სწორედ ეს მათემატიკური და ტექნიკური უზუსტობები იყო, რომლის კალკულაციასაც, წარმოიდგინეთ, მაგალითად, ჯაფარიძის პროგრამების შემთხვევაში, უნივერსიტეტის რომელიმე თანამშრომელი ხელით ასრულებდა. შესაძლოა მას კიდევ გაჰპარვოდა შეცდომა. მოკლედ რომ ვთქვა, ელექტრონულ სისტემაზე გადასვლით, სისტემურად, მაქსიმალურად უზრუნველყოფილია დაცულობა და გათვალისწინებულია საკანონმდებლო მოთხოვნებიც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, მართლა კარგი და საჭირო პროდუქტი შეიქმნა. ახლა ველოდებით მინისტრის ბრძანებაში ცვლილებებს და, პირველი დეკემბრიდან, დაწესებულებები შეუდგებიან საქმიანობას.

ვადებს მინისტრის ბრძანება განსაზღვრავს. წესით, 1-დან 14 დეკემბრის ჩათვლით, უმალეს დაწესებულებებს ექნებათ ანკეტა-კითხვარის შევსებისა და წარმოდგენის ორკვირიანი ვადა.

საინფორმაციო ცენტრისთვის კი, განხილვის, ხარვეზის დადგენისა და საბოლოოდ დადასტურების ვადად განსაზღვრულია 10 იანვარი. 10 იანვრის შემდეგ ინფორმაცია ნაეკს გა-

დაეზავდება, რის შემდეგაც ცენტრი ადგენს შესაბამის ცნობას აბიტურიენტებისთვის, რომ მათ შეიტყონ 2020 წელს ეროვნულ გამოცდაზე რომელი დაწესებულება, რა პროგრამაზე, რომელი საგნებით აცხადებს მიღებას.

– ენ. უფასო ფაქულტეტების ჩამონათვალი მოგვიანებით ხდება ცნობილი, საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე. ამ შემთხვევაშიც თქვენ აწოდებთ ინფორმაციას ნაეკს?

– რაც შეეხება პრიორიტეტულ პროგრამებს (ენ. უფასო ფაქულტეტებს), ამ პროცესთან კავშირში არ არის, რადგან, პრიორიტეტული პროგრამები მინისტრის ბრძანებით განისაზღვრება – უკვე ავტორიზებული აკრედიტებული პროგრამების ნუსხა, თავის მხრივ, მონდება სამინისტროს მხრიდან. ეს ცალკე სისტემაა, თუმცა, ნაეკს ჩვენ ისევ ელექტრონულად მივაცვდით ინფორმაციას, ფინანსდება თუ არა ესა თუ ის პროგრამა. ჩვენ შორის სერვისი აენყო და ამიტომ, როგორც კი ინფორმაცია ხელმისაწვდომი გახდება, მაშინვე გადავუზავნით შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს.

– როგორ მიიღეს უმალესებმა ეს სიახლე?

– გულწრფელად გეტყვით, რომ უმალესები მართლა აღფრთოვანებულნი იყვნენ, როცა სიახლეს ვაცნობდით. ჩვენ მოვანყვეთ საინფორმაციო შეხვედრები როგორც რეგიონების, ისე თბილისის უნივერსიტეტებთან, მართლაც ძალიან კარგი პრეზენტაცია იყო. შემდეგ, 11 უნივერსიტეტი დაგებატყვეთ პილოტირებაზე და მათი მხრიდან არც ერთი შენიშვნა არ ყოფილა. 1 დეკემბრამდე გახსნილია საიტი, რომ საპილოტე რეჟიმში შეაქვს ანკეტა-კითხვარები და დავტესტოთ ეს ყველაფერი, რეალურად ვნახოთ შედეგები, როგორ იმუშავებენ ახალი სისტემით. საერთო ჯამში კი, ძალიან პოზიტიური განწყობაა, ამის მიზეზი რეალურად აქვთ, რადგან გამესამედებულია მათი შრომა.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრთან, ბუნებრივია, მუდმივად ვითანამშრომლებთ და, ანკეტა-კითხვარის წარმოდგენის მერე, თუ პროგრამის სტატუსთან ან დაწესებულების სტატუსთან დაკავშირებული რაიმე ტიპის ცვლილება იქნება, საბოლოო ინფორმაციას პირველ აგვისტომდე მივანოდებთ ისევ ელექტრონულად. ვიდრე აბიტურიენტებს ცვლილებების შეტანის უფლება ექნებათ, მანამდე მივანოდებთ განახლებულ და სრულყოფილ ინფორმაციას, შეიცვალა თუ არა რომელიმე პროგრამას ან უნივერსიტეტს სტატუსი, მაგალითად, ვის ჩამოერთვა პროგრამის განხორციელების უფლება და ა.შ. ამდენად, მეტ-ნაკლებად დავლაგდით ვადებში და ვფიქრობ, უმალესი სასწავლებლების საქმიანობას ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა ბევრად გაამარტივებს.

2020 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდაების ზოგიერთი საბნის ტესტში შევსაცვლილება. წინა წლების მსგავსად, ცვლილებები სასცდელი ტესტირების, მისი შედეგების გაანალიზებისა და ღირბის ექსპერტებთან კონსულტაციების შედეგად დაიგებმა.

ისტორია

გაიზრდება ღია დაფლებების რაოდენობა, დახურული დაფლებების რაოდენობა კი შემცირდება.

საგამოცდო ტესტს დაემატება ორი ახალი ტიპის დაფლება: „ორი სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროს ანალიზი“ და „ისტორიული მოვლენის შეფასება“.

✓ „ორი სხვადასხვა ტიპის ისტორიული წყაროს ანალიზი“ – აბიტურიენტმა ორი სხვადასხვა ტიპის (წერილობითი და ვიზუალური) წყარო უნდა შეაჯეროს და, ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის გაანალიზების საფუძველზე, გასცეს კითხვებს პასუხი.

✓ „ისტორიული მოვლენის შეფასება“ – აბიტურიენტმა უნდა გამოავლინოს კრიტიკული აზროვნების უნარი – შეაფასოს ესა თუ ის ისტორიული პროცესი, მოვლენა ან პიროვნება. უცვლელი რჩება მინიმალური კომპეტენციის პროცენტული ზღვარი.

მათემატიკა

აბიტურიენტს საგამოცდო საგანი ჩაბარებულად ჩაეთვლება, თუ დააგროვებს ამ საგნისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 20%-ზე მეტს.

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სხვადასხვა საბანში

აბიტურიენტს დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახულად ჩაეთვლება, თუ ის უცხოური ენისა და მათემატიკის გამოცდაში დააგროვებს ამ საგნებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური ქულის 20%-ზე მეტს, ზოგადი უნარების გამოცდაში – 30%-ზე მეტს, ხოლო ყველა სხვა საგანში – მაქსიმალური ქულის 25%-ზე მეტს.

როგორც წინა წლებში, უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს ახლაც აქვთ უფლება, კონკრეტულ პროგრამებზე აწიონ ბარიერი, ანუ გაზარდონ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.



საქართველოში მოსწავლეთა სწავლის შედეგები უმჯობესდება, თუმცა თანასწორობა პრობლემად რჩება

ლალი ჯალაძე

19 ნოემბერს გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF) და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) წარმოადგინეს კვლევის „შეფასებები საქართველოს ზოგადი განათლების სისტემაში“ ანგარიში, რომელიც საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ძლიერ და სუსტ მხარეებს აფასებს, მათ შორის სააბიტურო საფეხურს, დაინტერესებულ მხარეთა პოზიციებს ასახავს და კონკრეტულ რეკომენდაციებს გვთავაზობს.

მიმოხილვის შედეგად გამოვლინდა, რომ უკანასკნელ პერიოდში, საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა საგანმანათლებლო შედეგების თვალსაზრისით – 2009-დან 2015 წლამდე პერიოდში, საქართველოში, 15 წლის მოსწავლეებმა გააუმჯობესეს სწავლა კითხვაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში თითქმის ერთი სრული კლასით – თუმცა, პროგრესი მოსახლეობის ყველა ჯგუფს თანაბრად არ შეეხო.

მაგალითად, განსხვავებული მაჩვენებლები აქვთ ქალაქისა და სოფლის მოსწავლეებს – ქალაქის მოსწავლეები უკეთესი მაჩვენებლებით უსწრებენ სოფელში მცხოვრებ თანატოლებს, სოციალურ-ეკონომიკურად პრივილეგირებული მოსწავლეები კი – სოციალურად დაუცველ თანატოლებს; ხოლო ის მოსწავლეები, რომლებიც შინ ქართულად ლაპარაკობენ, უსწრებენ თანატოლებს, რომელთა მშობლიური ენა ქართული არ არის. სამწუხაროდ, ეს უთანასწორობა მიღწევებში, 2009-2015 წლებში, კიდევ უფრო გაიზარდა.

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში სკოლაში ჩართულობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა, განსხვავებულია მოსწავლეთა სხვადასხვა ჯგუფების მიხედვით. მაგალითად, ჩართულობის ნედლი მაჩვენებელი, განათლების საშუალო საფეხურზე, შეადგენს 72%-ს ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოსწავლეებისთვის, ხოლო ეთნიკურად ქართველი მოსწავლეებისთვის კი – 90%-ს. რაც შეეხება სწავლის შედეგებს, 2015 წელს, დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეებმა, საქართველოში, 78 ქულით ნაკლები აიღეს, ვიდრე მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეებმა, რაც უხეშად, სკოლაში სწავლის 2,5 წელს უდრის. ეს სხვაობა უფრო მაღალია, ვიდრე რუსეთსა (58-ქულიანი განსხვავება) და თურქეთში (59-ქულიანი განსხვავება). სხვა განზომილებები, რომლის მიხედვითაც საქართველოში მოსწავლეთა შედეგები განსხვავდება, მოიცავს შემდეგს: გეოგრაფიული მდებარეობა – მოსწავლეები სოფლად 44 ქულით ჩამორჩებიან თანატოლებს ქალაქებში, რაც, დაახლოებით, სკოლაში სწავლის 1,5 წელს უთანაბრდება. ეს განსხვავება რეგიონულ დონეზე იკვეთება, სადაც თბილისში, მოსწავლეთა თითქმის ორი მესამედი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, PISA-ს შკალაზე საბაზისო მაჩვენებელს სცდება, ხოლო სოფლად მდებარე რეგიონებში, ამ დონეზე, მოსწავლეთა მხოლოდ ერთი მესამედი.“

ქართულენოვანმა მოსწავლეებმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში 419 ქულა მიიღეს, ხოლო იმ მოსწავლეებმა, რომლებიც შინ ქართულად არ ლაპარაკობენ – 359 ქულა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის მოსწავლეთა თითქმის ნახევარი საბაზისო ნიშნულს ვერ გასცდა, ეს ზღვარი ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსწავლეთა თითქმის 90%-მა ვერ გადალახა. მე-3 დონეს კი ეთნიკურად აზერბაიჯანელმა ვერც ერთმა მოსწავლემ ვერ მიაღწია. პროფესიული განათლების დაწესებულებების სტუდენტებმა თითქმის 90 ქულით ნაკლები მიიღეს ზოგადი განათლების პროგრამებში თანატოლებთან შედარებით, რაც, დაახლოებით, სკოლაში სწავლის სამ წელს უტოლდება.“ – ვკითხულობთ ანგარიშში.

კვლევაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ჩვენს ქვეყანაში მოსწავლეთა შეფასებას, რომელიც, ძირითადად, მხოლოდ ნიშნების დასაწერად გამოიყენება და არა სწავლის გაუმჯობესებაში მათ დასახმარებლად. „ჯერ კიდევ, მოსწავლეთა მიღწევებისა და სწავლის გაუმჯობესებისათვის, განმავითარებელი შეფასება პედაგოგიური პრაქტიკის მთავარი აქცენტი არ არის, მასწავლებლები არ იყენებენ შეფასების მრავალფეროვან ტექნიკებს და უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლეთა შეფასებას, ძირითადად, მრავალბასუხიანი ტესტებით, რომლებიც უნარების ფართო სპექტრს არ აფასებს.“

სახელდება რამდენიმე ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუშალა საქართველოში მოსწავლეთა შეფასების მეტი საგანმანათლებლო ღირებულების მქონე სავარჯიშოდ ქცევას: „პირველი, შეფასების შესახებ ცნობიერების ამაღლებასა, კენ მიმართული ძალისხმევის მიუხედავად, მასწავლებლები და საზოგადოება კვლავ

ამაზვილებს ყურადღებას ნიშნებზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს ნიშნები ზუსტად ვერ ასახავს იმას, თუ რა იცის მოსწავლემ და რისი გაკეთება შეუძლია. შეფასების ასეთი გაგება იკვეთება დამრიგებელთა შეფასების პრაქტიკებში. მასწავლებლები არ იყენებენ შეფასების მრავალფეროვან მოდელებს და უპირატესობას ანიჭებენ, მეტწილად, მრავალბასუხიანი ტესტების საშუალებით შეფასებას და არ აფასებენ უნარების ფართო სპექტრს. ამასთანავე, საქართველოს საგანმანათლებლო სისტემა ზრდის იმ კომპონირებულ ზენოლას, რომელსაც მასწავლებლები და მოსწავლეები განიცდიან. უკანასკნელ პერიოდამდე, სკოლის დასამთავრებლად, მოსწავლეებს, საშუალო განათლების საფეხურის ბოლო ორ კლასში, 12 საგანში უწევდათ ტესტის ჩაბარება. უმაღლესი განათლების დაწესებულებაში ჩასარიცხად, საჭირო იყო ცალკე ტესტის ჩაბარება თითქმის ყველა იმავე საგანში. ამ გამოცდებისთვის განსაკუთრებული ყურადღების მინიჭებამ მოსწავლეები და სტუდენტები აიძულა, ვინაშინ ფოკუსირდნენ გამოცდებისთვის მზადებაზე, ხშირად მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო საჭიროებების უგულვებლყოფის ხარჯზე.“

განმავითარებელი შეფასება პედაგოგიური პრაქტიკის ძირითად აქცენტად რომ იქცეს, ანგარიშის ავტორებს მიაჩნიათ, რომ ქვეყნის განათლების სისტემაში ახალი ეტაპობრივი სასწავლო გეგმა უნდა გამოიყენოს, როგორც პოლიტიკური ბერკეტი, მის დასაწერად. სასწავლო გეგმის მასალები მკაფიო მითითებებს უნდა იძლეოდეს, მოსწავლეთა შეფასებისას, განმავითარებელი მიდგომების გამოყენების შესახებ, მათ შორის, რა ტიპის ინსტრუმენტების გამოყენება შეუძლია მასწავლებლებს, როგორ მისცეს უუკუკავშირი და როგორ გამოიყენოს შედეგები სწავლების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებისთვის.

ამის გარდა, მოსწავლეთა შეფასების რეფორმები წარმატებული რომ იყოს, ძალისხმევა უნდა მივმართოთ შეფასების შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას – ყველამ უნდა გააცნობიეროს განმავითარებელი შეფასების, შინაარსიანი უუკუკავშირისა და შეფასების სწავლისთვის გამოყენების საგანმანათლებლო მნიშვნელობა.

მათივე რეკომენდაციით, უნდა დამტკიცდეს მასწავლებელთა დიპლომის შემდგომი სტანდარტი და გამოყენებულ იქნეს, როგორც სამიზნე იმ ცოდნის გასაძლიერებლად, რომელიც მასწავლებლობის კანდიდატებმა შეიძინეს მოსწავლეთა შეფასების შესახებ, მასწავლებელთა საწყისი განათლების დროს. სკოლებში მასწავლებლებს უნდა მიეცეთ დრო ერთმანეთზე დაკვირვებისა და იმის შესახებ დისკუსიებისთვის, როგორ განხორციელდეს მოსწავლეების შეფასება. ტექნოლოგიები შეიძლება სასარგებლო იყოს ამ მიზნის მიღწევაში, განსაკუთრებით იმ მასწავლებლებისთვის, რომლებიც უფრო მცირე სკოლებში მუშაობენ, სადაც შიდა კადრი ნაკლებია. ასევე, აუცილებლად უნდა შემუშავდეს შეფასების მეტი ისეთი რესურსი, როგორიცაა სანიშნო ტესტები და ნიშნების დაწერის მითითებები, რომლებიც მასწავლებლისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს, ონლაინ-მონაცემთა ბაზის საშუალებით.

ისეთი მოსწავლეების მომზადებას კი, რომლებიც კონკურენტუნარიანები იქნებიან 21-ე საუკუნის ეკონომიკაში, საჭიროება მასწავლებლები, რომლებიც აქვთ შესაბამისი ცოდნა, უნარები და მოტივაცია, რომ გააგრძელონ კვალიფიკაციის ამაღლება. კვლევის მიხედვით, საქართველოში პედაგოგების დიდი ნაწილი ნაკლებად მონაწილეობს პროფესიულ განვითარებაში, ვიდრე OECD-ის სხვა ქვეყნებში. PISA 2015-ის მონაცემები გვიჩვენებს, რომ განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებელთა თითქმის 30%-ს და საშუალო საფეხურის პედაგოგთა 30%-ს რაიმე სახის დაწყებითი მომზადება არ გაუვლია, OECD-ის ქვეყნებისგან განსხვავებით, რომლებშიც, ფაქტობრივად, ყველა პრაქტიკოსი მასწავლებელი გადის საწყის მომზადებას.

ანგარიში აქცენტს იმაზეც აკეთებს, რომ საქართველოში ავტორიზაცია არ აფასებს განათლების ხარისხს და არ ითვალისწინებს სკოლის ისეთ მიღწევებს, როგორცაა მოსწავლეთა შენარჩუნება და შეფასების შედეგები, ავტორიზაციის მიზანი სკოლის ეროვნულ სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაა. ამჯერად, ავტორიზაცია ქვეყნის 225 კერძო სკოლაზე გავრცელდა. საქართველოს თავდაპირველი გეგმა გულისხმობდა 2021 წლამდე საჯარო სკოლების ავტორიზაციას. თუმცა, როგორც სამინისტრომ განაცხადა, ყველა საჯარო სკოლის ავტორიზაცია 2021 წლისათვის ვერ მოხდება, ვინაიდან ეს პროცესი მოკლე ვადაში ვერ განხორციელდება. კვლევის ავტორთა ჯგუფის რეკომენდაციას, საქართველომ EMIS-სა და NAEC-ში არსებული ინფორმაცია რისკის შეფასების მოდელის შესამუშავებლად გამოიყენოს. ამ მოდელის საშუალებით კი, ქვეყანა შეძლებს იმ სკოლების იდენტიფიცირებას, რომლებიც



ყველაზე მოწყვლადი არიან და მათი მხარდაჭერისთვის პროორიტეტის მინიჭებას. სკოლებს, რომლებიც, ამ მოდელის მიხედვით, რისკის ქვეშ არ არიან, შეიძლება პირობითი ავტორიზაცია მიენიჭოს მოკლევადიან პერიოდში და სრული შეფასება მოგვიანებით გაიარონ. შემოთავაზებული მოდელის არსებითი ასპექტია სათანადო ინდიკატორების შერჩევა და სამიზნე ზღვრების დაწესება, რომლებსაც სკოლამ იმისათვის უნდა მიაღწიოს, რომ არ ჩაითვალოს რისკის ქვეშ მყოფ სკოლად. ინდიკატორები აქცენტს რამდენიმე ფაქტორზე უნდა აკეთებდნენ, მათ შორის, მატერიალურ რესურსებზე, ფინანსური რესურსების მართვასა და მოსწავლეთა შედეგებზე.

მათივე რეკომენდაციით, სისტემაში სკოლების მხარდაჭერაზე უნდა მიმართოს საგანმანათლებლო რესურსცენტრების ფოკუსირება, რადგან მიაჩნიათ, რომ რესურსცენტრები საუკეთესო პოზიციაში იმყოფებიან სკოლებისთვის მხარდაჭერის გასანეგად, თუმცა, მათი ამჟამინდელი როლი ადმინისტრაციულია. ამ თვალსაზრისით, სამინისტრომ მნიშვნელოვნად უნდა შეამციროს საგანმანათლებლო რესურსცენტრების შესაბამისობის შემოწმების მანდატი, სკოლების მხარდაჭერისთვის მათ კვალიფიციური კადრი უნდა გამოიყოს და მოახდინოს მათი ქსელის რაციონალიზაცია, რომ თითოეული მუნიციპალიტეტის საჭიროებები დააკმაყოფილოს. როდესაც საგანმანათლებლო რესურსცენტრები სკოლების მხარდაჭერად აღიჭურვებიან, სამინისტროს მოუწევს მათი მართვის მოდელის შემუშავება და იმის განსაზღვრა, თუ როგორ გაუწევენ ისინი მხარდაჭერას სკოლებს, მათ შორის, მოიაზრება რესურსების გამოყოფა ყველაზე მწვავე საჭიროებების მქონე სკოლებისთვის და განათლების რესურსცენტრების როლის გაძლიერება სკოლების ფინანსური აუდიტის თვალსაზრისით.

შემოთავაზებული რეკომენდაციების მიხედვით, განათლებაში შეფასების სისტემა უნდა განვითარდეს იმისთვის, რომ გამოვლინოს დაბალი და უთანასწორო მიღწევების სფეროები და ეს გამოწვევები მანამ გადაჭრას, ვიდრე ფესვებს გაიდავს. კერძოდ, მოსწავლეთა შეფასებამ უფრო ზუსტად უნდა განსაზღვროს მათი მიღწევები, მასწავლებლებმა მომზადება უნდა გაიარონ მოსწავლეების უკეთ მხარდაჭერისთვის და სკოლებს მეტი ყურადღება უნდა მიეცეთ წარმატების მისაღწევად მოსწავლეების დასახმარებლად. სწავლების ხარისხის გაუმჯობესება შესაძლებელია პედაგოგთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერით, მათი კარიერის მანძილზე.

რეკომენდაციებში ყურადღება გამახვილებულია, ასევე, ერთი გამოცდის მოდელის მომზადების საჭიროებაზე, რომელიც ერთი ტესტის საშუალებით მოხდება განათლების საშუალო საფეხურის დასრულების დადასტურება და მოსწავლეთა შერჩევა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩასარიცხად. კვლევის ავტორების რჩევაა, შემუშავდეს და რეგულარულად განხორციელდეს სკოლის შეფასების ყოვლისმომცველი ჩარჩო იმისათვის, რომ სისტემას სკოლების მონიტორინგისა და მათი შედეგების განმავითარებელ შედეგებთან დაკავშირების შესაძლებლობა მიეცეს.



ადგილობრივი და საერთაშორისო სპეციალისტები, დარგის მკვლევრები და განათლების სფეროში პოლიტიკის შემქმნელები, 2018-2019 წლებში, საქართველოში ზოგადი განათლების მიმართულებით არსებული ვითარების შეფასებაზე მუშაობდნენ, ასევე, საჭირო ინიციატივებისა და საქმიანობების შესახებ რეკომენდაციების შემუშავებაზე.



პროფესიული განათლება

თვითგამორკვევის საუკეთესო გზა

ანა ფირსალაიშვილი

ცივი და წვიმიანი დღის მიუხედავად მუხრანის პირველი საჯარო სკოლის ეზოში ხალხმრავლობაა. მასპინძლები – სკოლის დირექტორი სოფი კუბლაშვილი, რესურსცენტრის უფროსი ბეკა იორდანიშვილი, პედაგოგები, მოსწავლეები მათ მიერ განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას წარუდგენენ სტუმრებს განათლების სამინისტროდან და პროექტის მონაწილე მხარეების წარმომადგენლებს; აქ არის იდეის ავტორიც – ამავე სკოლის კურსდამთავრებული, ამჟამად ემიგრანტი, ელგუჯა ზარდიაშვილი, საქველმოქმედო ფონდის „პატრიოტი – გაერთიანებული საქართველოს“ დამაარსებელი და ხელმძღვანელი. ინიციატივის არსი ისაა, რომ მხარი დაუჭიროს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარებას პროფესიული განათლების მიმართულებით, რაც სრულად ეხმარება ქვეყნის პროფესიული განათლების სტრატეგიას.

კარგ იდეას რამდენიმე მხარდაჭერი გამოუჩნდა. მთავარი და გადამწყვეტი როლი გაეროს განვითარების პროგრამას ეკუთვნის, რომელმაც 28000 ლარით დააფინანსა პროექტი, საქველმოქმედო ფონდმა კი 2000 ლარზე მეტი გაიღო. იდეის განხორციელებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა (სკოლასთან ერთად) გორის კოლეჯმა „განთიადი“, რომელსაც აგრარული მიმართულებით, საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს. მისი დირექტორი და მოადგილე – ანა დათუაშვილი და კახაბერ კახიაშვილი, ბუნებრივია, ესწრაფებოდნენ პროგრამის წარდგენას. სწორედ ბატონი კახაბერის უშუალო რეკომენდაციით გაშენდა სკოლის ეზოში ხეხილის (მსხალი, ვაშლი, ატამი, ბალი) ხეივანი, რომლის ადგილზე გაუვალა ჯგანარი ყოფილა. განმედიტაც განმინდეს და ბალიც თავად გააშენეს. იმ დღესაც, უნიფორმაში გამოწყობილები, დეკორატიული მცენარეებით ალამაზებდნენ ახლად გაშენებული ბაღის კიდეებს.

ალბათ ძალიან ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ამდგავარი პროექტი საქართველოს 500-ზე მეტ სკოლაში უკვე განხორციელდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ სკოლების მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია პროფესიული განათლების ის მიმართულებები, რომლებიც მათი რეგიონისთვის და ზოგადად, შრომით ბაზარზე მოთხოვნილი. განათლების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე თამარ სამხარაძე ამბობს, რომ „სკოლის სივრცეში ამგვარი გაეროს მონაწილე მთავარი მიზანი მოსწავლეთა თვითგამორკვევაა. ისინი აქ, თავიანთი ძირითადი საქმიანობის პარალელურად, ეცნობიან, რა პროფესიები არსებობს ამა თუ იმ სფეროში, აქვე ეძლევათ საშუალება პრაქტიკულად შეეხონ მათ, ე.წ. კეთილმო სწავლება ხომ საკუთარი ინტერესებისა და უნარების გამომკვევა-გაანალიზების საუკეთესო საშუალებაა, რაც, საბოლოოდ, გავლენას იქონიებს ახალგაზრდების პროფესიულ არჩევანზე. ამ ეტაპზე ესაა არაფორმალური

რი განათლება, ანუ ეროვნული სასწავლო კურიკულუმის მიღმა აქტივობა – VII-IX კლასებისთვის საპროფორიენტაციო ხასიათის, ხოლო X-XII კლასებში – პროფესიის შესწავლის.“ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მუხრანის სკოლისთვის გორის კოლეჯი „განთიადი“ იყო როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული საშუალების მხრივ დამხმარე და კონსულტანტიც.

მუხრანის პირველი საჯარო სკოლისთვის ეს ერთჯერადი პროექტი არ არის, პროფესიული პროგრამების დანერგვის თვალსაზრისით. სკოლას უფრო სერიოზული მიზანი აქვს – მოიპოვოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმანორციელებელი დაწესებულების სტატუსი ავტორიზაციის გავლით. ამისთვის აუცილებელია მოამზადოს სტანდარტების შესაბამისი პროგრამული, მატერიალური, ადამიანური, ფინანსური რესურსები. ამ პროცესისთვის კი, ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, რეგიონში, აგრარული მიმართულებით პროფესიულ განათლებაში გამოცდილების მქონე, პროფესიული კოლეჯი „განთიადი“. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ტრენინგების ციკლი მოიცავს ყველა თემას და აქტივობას, რაც ავტორიზაციის პროცესისთვის მოამზადებს სკოლის დირექციას, ადმინისტრაციას და პროფესიულ მასწავლებლებს, ჩაერთვება ფერმერთა ასოციაცია. ორივე საგანმანათლებლო დაწესებულებას პარტნიორობას გაუწევს ფონდი „პატრიოტი – გაერთიანებული საქართველო“.

პროგრამის წარდგინების მონაწილე იყო განათლების მინისტრის ახლად დანიშნული მოადგილე თამარ ქიტიაშვილი, რომლისთვისაც ეს პირველი ღონისძიება აღმოჩნდა ამ პოსტზე. სახელმწიფოს მხარდაჭერას ასეთი სერიოზული პროგრამის განხორციელებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და ქალბატონმა თამარმაც სწორედ ეს მხარდაჭერა აღუთქვა სკოლას, მადლობა გადაუხადა ყველა მონაწილე მხარეს. გულახდილი საუბარი მასსა და მოსწავლეებს შორის სკოლის შენობაში გაგრძელდა. მოსწავლეებმა გულახდილად უპასუხეს მინისტრის მოადგილის შეკითხვებს. ითქვა, რომ მათთვის ძალიან საინტერესო იყო ხეხილის ბაღის გაშენებაში ასე აქტიურად ჩართვა, ბევრი რამ ისწავლეს და იყენებენ კიდევ მიღებულ ცოდნას საკუთარ მეურნეობაში. ქალბატონი თამარის შეკითხვაზე, კვლავაც ჩაერთვებიან თუ არა მსგავს პროგრამაში, უპასუხეს, რომ აუცილებლად ჩაერთვებიან. აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდების ნაწილს კულინარია აინტერესებს, ნაწილი ფოტოსაქმეს შეინაწილდა, ითქვა ისიც, რომ თუ უფრო მრავალფეროვანი იქნება შემოთავაზება, პროფესიის არჩევაც გაუაადვილდება.



მუხრანის პირველი საჯარო სკოლა ნიკო ბაგრატიონის (ბურის) სახელობისაა, ეზოში ახლაც დგას სარესტავრაციოდ გამზადებული სასახლე, რომლის ირგვლივაც საკმაოდ დიდი



ფართობია იმისათვის, რომ შეთავაზებები უფრო მრავალფეროვანი გახდეს. ჯერჯერობით, გეგმაში მხოლოდ აგრარული მიმართულებაა და მეხილეობის გარდა, შესაძლოა, სკოლამ მეზობლეთისა და მეხილეობის პროგრამები დაიმართოს. თუ იმის მიხედვით ვიმჯვებებით, რაც უკვე მუხრანში შეძლეს, სრულიად რეალურია, ვიგარანდოთ, რომ მომავალში ორი სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულების მსგავსი თანამშრომლობა სხვა რეგიონშიც და ბევრ პროგრამაზე განხორციელდება.

ახალი აზრები

სახალხო დამცველის რეკომენდაციები

სახალხო დამცველმა, ნინო ლომჯარიამ ყვარლისა და ონის მუნიციპალიტეტების მერებს, სოფელ თივსა და სოფელ გლოლაში მცხოვრები ბავშვებისთვის, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ხელმისაწვდომობისა და საბავშვო ბაღით უზრუნველყოფის რეკომენდაციებით მიმართა.

ეთნიკური უმცირესობით დასახლებულ სოფელ თივსაში არ ფუნქციონირებს საბავშვო ბავშვთა ბაღი. მოსახლეობა ითხოვს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების გახსნას, სადაც ბავშვები სახელმწიფო ენასაც შეისწავლიან და სასწავლო-სააღმზრდელო მომსახურებასაც მიიღებენ.

სოფელ თივის საჯარო სკოლის ბაზაზე გახსნილია სკოლამდელი აღზრდის ცენტრი, სადაც 12 ბავშვი ირიცხება. ცენტრის მომსახურებით სარგებლობენ სასკოლო მზაობის პროგრამის შესწავლის მსურველი ბავშვები, ძირითადად, 5-6 წლის ასაკის. მოკვლევისას დადგინდა, რომ სოფელში მოქმედი სკოლამდელი განათლების მოსამზადებელი ალტერნატიული სასწავლო ცენტრი ვერ უზრუნველყოფს ბავშვებს კვებითა და საძინებლით, შექმნილი პირობები ქვეყანაში დაწესებულ სტანდარტებს არ მიესადაგება.

„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილია სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობა თითოეული ბავშვისთვის, მათი რაოდენობის მიუხედავად, აღნიშნული უფლებებით სოფელ თივსაში მცხოვრები ბავშვები ვერ სარგებლობენ. შედეგად, მათ ეზღუდებათ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღების შესაძლებლობა. შემოაღწივნილიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტის მხრიდან გატარდეს სათანადო ღონისძიებები, რათა სოფელ თივის ალსაზრდელებისთვის უზრუნველყოფილი იქნეს საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლების რეალიზება, კერძოდ, სრულფასოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.“

აღნიშნულის საფუძველზე, საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად, მოგმართავეთ რეკომენდაციით, დროულად გამოიყოს საბიუჯეტო სახსრები სოფელ თი-

ვის სკოლამდელი განათლების ცენტრის სათანადო ინვენტარითა და პერსონალით უზრუნველყოფის მიზნით, რათა შესაძლებელი იყოს იქ მცხოვრები ბავშვებისთვის საყოველთაო, უფასო და სრულფასოვანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიღების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებული უფლების რეალიზება. ვთხოვთ, გატარებული ღონისძიებების შესახებ მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.“ – ვკითხულობთ სახალხო დამცველის დასკვნაში.

სოფელ გლოლაში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების შენობა გარემონტებულია, მაგრამ სპეციალური პერსონალის არარსებობის გამო, სრულფასოვანად ვერ ფუნქციონირებს. შესაბამისად, მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამა მოქმედებს, რომელიც ვერ უზრუნველყოფს ალსაზრდელების კვებასა და ძილს.

„მოკვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოფელში მცხოვრები ბავშვებისთვის არ არის ხელმისაწვდომი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული და „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდა და განათლება.“

სოფელ გლოლაში ფუნქციონირებს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების შენობა გარემონტებულია და გამოყოფილია სათანადო ოთახები როგორც საძინებლისთვის, ასევე სამზარეულო და საწყობი ოთახებისთვის, შესაბამისი ინვენტარისა და სამზარეულოთა სპეციალური პერსონალის არარსებობის გამო, არ ფუნქციონირებს კვების ბლოკი და საძინებელი. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში ამჟამად ირიცხება მხოლოდ 4 ალსაზრდელი, მათი სიმცირის გამო, დაწესებულება არ უზრუნველყოფს ბავშვებს სათანადო კვებითა და საძინებლით. შესაბამისად, სააღმზრდელო პროცესი, შეფერვებით, მხოლოდ დღის 10:00 საათიდან დღის 14:00 საათამდე მიმდინარეობს და ფუნქციონირებს, როგორც სკოლამდელი განათლების ცენტრი.

ჩვენ ხელთ არსებული ინფორმაციით, დაწესებულება ეფუძნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების



შესახებ“ საქართველოს კანონს, თუმცა სოფელ გლოლის სტანდარტული საბავშვო ბაღით უზრუნველყოფა მხოლოდ ალსაზრდელთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში იგეგმება.“

სახალხო დამცველი რეკომენდაციაში ასევე წერს, რომ სკოლამდელი აღზრდა-განათლება საყოველთაო და ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი ასაკის ყველა ბავშვისთვის. მნიშვნელოვანია, რომ კანონში არ არის დადგენილი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სრულფასოვანი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის ალსაზრდელთა საჭირო მინიმალური რაოდენობის ზღვარი. ცხადია, რომ თივსა და გლოლაში მცხოვრები ბავშვები ვერ სარგებლობენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უფლებით.

სახალხო დამცველის რეკომენდაციით, ადგილობრივმა თვითმმართველობებმა ბიუჯეტიდან დროულად უნდა გამოიყონ საჭირო სახსრები საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისთვის, ასევე სკოლამდელი განათლების ცენტრების სათანადო ინვენტარითა და პერსონალით უზრუნველყოფისთვის, რათა ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი იყოს საყოველთაო, უფასო და სრულფასოვანი სკოლამდელი აღზრდა-განათლება.

ასალი აზრები

სტატუსის მინიჭების შესახებ წინადადებების ელექტრონულ სისტემაში განათავსების ვადები განისაზღვრა – ბრძანების თანახმად, განაცხადის მიღება 2 დეკემბერს დაიწყება და 17 დეკემბრის ჩათვლით გაგრძელდება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები, 15 დღის განმავლობაში, ვალდებული არიან, მასწავლებლის შედეგებისა და სტატუსის მინიჭების შესახებ წინადადებები განათავსონ მხოლოდ 4 კატეგორიაზე:

- პრაქტიკოსის სტატუსის მქონე მასწავლებლებისთვის;
- უფროსი და ნამყვანის სტატუსის მქონე მასწავლებლებისთვის, რომლებიც, 2018-2019 სასწავლო წლის ბოლოს, წარდგენილი იყვნენ სქემით განსაზღვრული მომდევნო სტატუსის მინიჭებაზე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ, მაგრამ პროფესიული საქალაქო დაუზარაველად;
- უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებლებისთვის, რომლებსაც, 2018-2019 სასწავლო წლის ბოლოსთვის, გავლილი ჰქონდათ დაკვირვება, მაგრამ შეფასების ჯგუფების მიერ არ მოხდა მათი წარდგენა სქემით განსაზღვრული მომდევნო სტატუსის მინიჭებაზე;
- უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებლებისთვის, რომლებიც, 2018-2019 სასწავლო წლის ბოლოსთვის, აკმაყოფილებდნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 13 ივნისის №102/ნ ბრძანებით დამტკიცებული გარე დაკვირვების წესის შესაბამისად განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ მოპოვებული არ ჰქონდათ 15 კრედიტულა ან/და განხორციელებული არ ჰქონდათ ყველა სავალდებულო აქტივობა.

გამოცდების შედეგების გამოცხადების შემდეგ, ჯილდოს მსურველებისთვის, რამისტრაციის დამატებითი ფანჯარა გაიხსნება

საპენსიო ასაკის პრაქტიკოსი პედაგოგების განაცხადების მიღება, ჯილდოს მეორე ეტაპისთვის, 29 ნოემბრის ჩათვლით გაგრძელდება. ორი წლის ჯამური ანაზღაურების სახით ფულადი ჯილდოს მიღების შესაძლებლობა იმ პედაგოგებს ექნებათ, რომლებმაც სტატუსი ვერ აიმაღლეს და ნებაყოფლობით აირჩიეს ეს შეთავაზება. თუმცა, ახლახან, განათლების მინისტრის მოადგილემ, ირინა აბულაძემ განაცხადა, რომ ჯილდოს მიღების საშუალებას იმ მასწავლებლებსაც მისცემენ, რომლებიც ნოემბერში ორგანიზებული გამოცდების შედეგების გამოცხადების შემდეგ გადაწყვეტენ შეთავაზებით სარგებლობას.

„თვის ბოლომდე მასწავლებლებს საშუალება აქვთ, შემოიტანონ განაცხადები. თუმცა, ეს მასწავლებლები, ასევე, ელოდებიან გამოცდების შედეგებს. საბოლოო პასუხი მათ დეკემბრის დასაწყისში ეცოდინებათ და თუ მოხდება ისე, რომ გადაწყვეტილებას გამოცდების შედეგების გაგების შემდგომ მიიღებენ, ჩვენ მზად ვართ, ამ მასწავლებლებისთვის, დეკემბერში, დამატებითი ფანჯარა გავხსნათ“ – განაცხადა ირინა აბულაძემ.

მასშტაბური პროექტი

რეგიონში პირველი, ხელოვნური ინტელექტის უნივერსიტეტი, ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ბაზაზე, უახლოეს მომავალში დაიწყებს ფუნქციონირებას. ამ მასშტაბურ პროექტს მისტიკა ბატიაშვილი, უმსხვილესი საერთაშორისო ორგანიზაციების – Microsoft-ისა და HP-ის ჩართულობით, განახორციელებს.

BTU-AI ინდუსტრიის ფუნდამენტური ცვლილებისთვის ემზადება, – ეს იქნება, რეგიონის მასშტაბით, პირველი საგანმანათლებლო სივრცე, რომელიც მოახდენს ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირებას განათლებასა და ბიზნესის სხვადასხვა სექტორში, ადგილი ექნება ინოვაციების გენერირებას, კვლევას, სწავლებას და განვითარებას. ხელოვნური ინტელექტის უნივერსიტეტი, ბიზნესის და ტექნოლოგიების უნი-

ვერსიტეტის სივრცეში, წარმოდგენილი იქნება მალალტექნოლოგიური ლაბორატორიებით, ერთიანი სამუშაო სივრცეებით, კვლევითი ცენტრით, ელექტრონული ბიბლიოთეკით, სასწავლო აუდიტორიებითა და აქტივობების განსახორციელებლად საჭირო სხვადასხვა რესურსით.

უნივერსიტეტის მიერ გაცხადებული გეგმები, ასევე, მოიცავს:

- HP-ის მძლავრი, მაღალი წარმადობის ტექნოლოგიური ლაბორატორიის ამოქმედებას;
- Microsoft-ის მიერ, უნივერსიტეტის ბაზაზე, სასწავლო და კვლევითი პროექტების განხორციელებას, მათ შორისაა, AI Business School, AI Academy და სხვა;
- ხელოვნური ინტელექტის შესახებ სამეცნიერო კონფერენციების, სამიტების და ვორკშოპების მოწყობას;
- საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად კვლევითი პროექტების განხორციელებას, ქვეყნის მონივრე ინდუსტრიებში ხელოვნური ინტელექტის აპლიკაციების ინტეგრირების ანალიზს, პერსპექტივების პროგნოზირებას და სხვა;
- ახალი სტარტაპების აქსელერაციასა და ინკუბაციას, საერთაშორისო ბაზრებზე განვითარების ხელშეწყობას.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მსოფლიოში პირველი ხელოვნური ინტელექტის უნივერსიტეტის, MBZUAI-ს ინციატივა, 2019 წლის ოქტომბერში, აბუ დაბიში გაუხურდა და ის ფუნქციონირებას 2020 წლის სექტემბერში დაიწყო.

BTU AI იქნება რეგიონის პირველი უნივერსიტეტი, რომელიც ხელოვნური ინტელექტის განვითარებისთვის იმუშავებს სწავლების, კვლევების და სტარტაპების ხელშეწყობის მიმართულებით. საერთაშორისო ორგანიზაციების პროგნოზით, ხელოვნური ინტელექტის გლობალური ბაზარი, 2022 წლისთვის, 4 ტრილიონ აშშ დოლარს მიაღწევს. მისი შესაძლებლობები გამოყენებული იქნება მსხვილი ინდუსტრიების მიერ წარმოების, ჯანდაცვის, ფინანსების, სოფლის მეურნეობის, უსაფრთხოების და სხვა სექტორების ეფექტიანობის გასაზრდელად.

ხელოვნური ინტელექტის სპეციალისტებზე მოთხოვნა სწრაფად მზარდია, შესაბამისად, ეს ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი სფეროა მსოფლიოში. კადრებზე მზარდმა მოთხოვნამ გააჩინა შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროება, რომელსაც BTU AI სრულად დააკმაყოფილებს.

თვალსაზრისი

„გაფარჩაკეხული“ ეროვნული გამოსვლის მეტასტაზები

ეროვნული გამოცდები განათლების რეფორმის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, პოზიტიური გადაწყვეტილება იყო, რომელმაც, ასე თუ ისე, მოაწესრიგა უმაღლესი სკოლის კონტინგენტის პრობლემა. ყოველ შემთხვევაში, ნერტილი დაუსვა უნივერსიტეტებში „საყოველთაო განვევის“ მაგნეტიკას, როცა სახელმწიფოს უუნარობით თავაშვებული ე.წ. „განათლების ბიზნესმენები“, „ბუტკებსა“ და სარდაფებში დაფუძნებული უნივერსიტეტებში, ძალად ერეკებოდნენ ახალგაზრდებს და სოლიდურ თანხებსაც სძალავდნენ... სხვათა შორის, რეფორმას, თავისი ინოვაციური და ზოგჯერ მტიკონეული შედეგების გამო, საზოგადოება არც თუ ისე აღფრთოვანებით ხვდება, ეროვნულ გამოცდებს კი ყველა – ერთი და ბერი, ოპოზიცია და პოზიცია მონონებით შეხვდა. მშობლები, პედაგოგები კმაყოფილებას ვერ მალავდნენ იმის გამო, რომ გამოცდებმა სკოლისკენ მოაბრუნა ბავშვები და ნიგნი ააღებინა ხელში... რაც ყველაზე მთავარია, ბავშვებს გაუჩნდათ მოტივაცია და შეგნება იმისა, რომ სტუდენტის სანუკვარი სტატუსი მხოლოდ შრომით და სწავლით მიიღწევა; მაგრამ „ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვისმე განა?“... ჩვენთან ხომ ყველაფერი, განსაკუთრებით განათლების სისტემა, არჩვენებს ენიერება. სკოლა კი, მოგესხენებათ, პოლიტიკოსთა ნაძიციებისა და სურვილების დაკმაყოფილების ყველაზე ანადი არენაა. ყოველ წელს, ახალგაზრდებზე ზრუნვის მოტივით, სხვადასხვა დონისა და რანგის შეღავათებსა და დათმობებს სთავაზობდნენ განათლების სამინისტროს. სიმართლე რომ ითქვას, პირველ ხანებში, ქალბატონი მაია მიმინოშვილი მარჯვედაც იგერიებდა ახალ-ახალი „ინოვაციების“ ავტორებს, მაგრამ, ვის ვასვლია ჯიუტობა „ამა სოფლის ძლიერთა წინაშე“?! თამასუქად გაცემული ნაირ-ნაირი შეღავათების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, მაგრამ ერთს კი დავსძენ – გამოცდებსა და ჩარიცხვებთან დაკავშირებული ყველა „დეკრეტი“ (მეორადი, ერთი საგნით, დაწესებული ბარიერით და სხვ.) იყო და არის ვინორი მერკანტილური, ბიზნეს-კორპორაციული ინტერესებზე დაფუძნებული, ეროვნული იდეისა და ინტერესების სანინალმდეგო ნაბიჯები, რომლის სავალალო შედეგებსაც უკვე ვიძიებ... ხოლო ის, რაც წლებადნელ ეროვნულ გამოცდებზე მოიმოქმედეს, იყო უპასუხისმგებლობის, ყველა ღირებულებების, სახელმწიფო ინტერესების ცალფეხზე დაკიდება. მხედველობაში გვაქვს ძირითადი საგამოცდო საგნის – ქართული ენისა და ლიტერატურის, მეოთხე ვარიანტის, ბარიერის 15 ქულამდე დანევა (!). მოტივაციას არ იკითხავთ? – თურმე, აბიტურიენტებს ვერ გაუგიათ შესასრულებელი ტესტის პირობა. ეს მოტივი, როგორც იურისტისა და იტყვიან, თვითალიანებაა, დასტური იმისა, რომ, ჩვენდა სავალალოდ, აბიტურიენტებმა კითხვა არ იციან (კითხვა არ არის მხოლოდ ასო-ბგერების ამოცნობა), ან კითხულობენ, მაგრამ ვერ იგებენ! ამ უგუნური ნაბიჯის მიზანი მიღწეულია – გასტუდენტდა ათასობით ნერა-კითხვის უცოდინარი, ხოლო სახელმწიფო ხაზინა რამდენიმე ათასი ლარიით შეივსოს! ასეთი დათვური სამსახურის შედეგი კი, ცოტა ვინმეს ადარდება! საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეროვნული გამოცდების ბარიერები და მოთხოვნები იმდენად მარტივი და პრიმიტიულია, რომ ე.წ. კონკურსით ჩარიცხული, ასკულიანი აბიტურიენტებიც

კი, ცალკეული გამონაკლისის გარდა, არაფრით გამოირჩევიან სხვებისგან. დასკვნა მარტივია: ეროვნული გამოცდები, თავისი ბარიერებით და პროგრამებით, არ იძლევა ახალგაზრდების სელექციის, არჩევის საშუალებას – ყველას ერთ „ტაფაში ხრაკავს“. უკვე იმ დონემდე მივედით, რომ ამ ჩვენს გამოცდებს თავად აბიტურიენტებიც დასცინიან, გახსოვთ, შარშან, ერთი ახალგაზრდა რომ „ლადაობდა“ – გამოცდაზე დიმიპიტაურით შეევიდა და დამპიტაურით გამოვედიო... შედეგი კი სავალალოა: „დიმიპიტაურით“ ჩარიცხულთა დიდმა ნაწილმა არ იცის წერა-კითხვა, უჭირთ ელემენტალური მათემატიკური ოპერაციები, მენდელეევის პერიოდულ სისტემასაც კი ვერ კითხულობენ, – ჩივიან ქიმიკოსები; უფრო მეტიც, ჩვენი უნივერსიტეტდამთავრებულები მასიურად ვერ აბარებენ მასწავლებლის კომპეტენციის დამადასტურებელ სასერტიფიკაციო გამოცდებს.

უნივერსიტეტებმა უნდა იფიქრონ სასწავლო პროცესის სრულყოფაზე, დიპლომის ნონაც უნდა გაიზარდოსო, – აღშფოთებული წერდა ამას წინათ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარმომადგენელი. ვეთანხმები ქალბატონს. სასერტიფიკაციო გამოცდები მართლაც ლაკმუსის ქაღალდი აღმოჩნდა ჩვენთვის – უმაღლესი სკოლის პროფესორ-მასწავლებლებისთვის, მაგრამ ამ შემთხვევაში საყვედურს ნამდვილად ვერ მივღებთ, რადგანაც პარი-პარალოზზე სკოლადამთავრებულს და უმაღლესში ძალად შემოგდებულს, რა უნდა მოუხერხოს უნივერსიტეტმა?! პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ, იქ, სადაც კანონის ფარგლებში მოქმედებენ, ზრდიან ე.წ. ბარიერებსა და სხვა აქტივობებს, შედეგიც არ აყოფენებს. მაგალითად, ჩვენთან – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მომთხოვნეობით, სამართლიანობით, პრინციპულობითა და სასწავლო პროცესისადმი ინოვაციური მიდგომით, გამორჩეულია ინგლისური ენის მიმართულება, რომლის მესაძირკველც გახლავთ ცნობილი პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მსცოდინი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ქალბატონი მადონა მეგრელიშვილი. ინგლისურზე შემსვლელმა აბიტურიენტებმა სკოლის მერხიდანვე იციან, რომ ენის საბაზისო ცოდნისა და თავდადებული შრომის გარეშე, უნივერსიტეტს ვერ დაამთავრებენ (მეგრელიშვილსა და მის მოწაფეებს ამ პრინციპისთვის არ უღალატინათ მაშინაც, როცა ბიუჯეტად, უნივერსიტეტში მიუსვლელადაც არიგებდნენ დიპლომებს). საქმე მართო პრინციპების დეკლარირებაში არაა, მათ ინგლისური ენის გამოცდაში ჩადეს ის მექანიზმი (50%-იანი კომპეტენციის ზღვარი), რაც, საგამოცდო ტესტების სიმარტივის მიუხედავად, გზას უღობავს შემთხვევით აბიტურიენტებს. ცხადია, ყველა სტუდენტი აქაც ვერ ეთანამუება ვარსკვლავებს, მაგრამ შედეგი თვალმისაცემი და განსაკუთრებულია, თუ გნებავთ, იგივე, მასწავლებლის სასერტიფიკაციო გამოცდის კუთხითაც, მაგალითად, ამ ორიოდ წლის წინ, ბაკალავრიატის დამთავრებისთანავე, ათეულმა ახალგაზრდამ წარმატებით ჩააბარა სასერტიფიკაციო საგნის გამოცდა ინგლისურ ენაში, მათ შორის ერთი 25-კაციანი ჯგუფიდან ოთხმა უმაღლესი – 10 კრედიტი აიღო. ეს კი დიდი წარმატებაა (მენდეი!) ჩემი ქალიშვილის ჯგუფია). საერთოდ, ეროვნული გამოცდები – თავისი ფორმით, შინაარსით, ყბადღებული ბა-

რიერებითა და სხვა ათასგვარი ხრიკებით, მიმართულია საყოველთაო უმადლესი განათლების დასამკვიდრებლად (დამკვიდრებულიცაა უკვე). ეს კი ჩვენისთანა პატარა ქვეყანას კარგს არაფერს უქადის. განათლების ყოფილმა მინისტრმა, ბატონმა ალექსანდრე ჯეჯელავამ, ბევრჯერ გავაზრდა თავისი არაორდინარული განცხადებითა და მოსაზრებებით, მაგრამ, ერთი რამ კი ნამდვილად ქმმარტება ბრძანა: არსად, არც ერთ ქვეყანაში, აბიტურიენტთა 80% სტუდენტი არ ხდება; საუნივერსიტეტო განათლება ყველგან სამეფო ხილია, ჩვენთან კი ბალი ათშაურიია... საერთაშორისო ექსპერტებიც გვეუბნებიან, უმაღლესი განათლების მისაწვდომობა არ ნიშნავს მის საყოველთაო ხასიათს, მაგრამ აყარე ცერცვი კედელს, ვის ესმის!

ერთი სიტყვით, „გაფარჩაკეხული“ ეროვნული გამოცდებით გამოწვეული მეტასტაზები ასეთია: 1. ფეშქაშად გაცემული დივიდენდი – იოლი გზით გასტუდენტება სერიოზულ პრობლემას უქმნის თავად ახალგაზრდას, მის ოჯახს და სახელმწიფოს. „ძალად გასტუდენტებულს“ – ძალადვე ვამთავრებინებთ. დაამთავრა და, მერე რა? არც არაფერი. საშუალოზე დაბალი კვალიფიკაციის სპეციალისტი საშუალო ვერ მოუკლავს (არც მაღალი კვალიფიკაციის მქონეს ახვევ ვინმე კალთებს); დიპლომი კი გარკვეულწილად აკომპლექტებს ახალგაზრდას (ჩემი სიგრძის დიპლომის პატრონმა, თოხს როგორ მოვიკიდო ხელი?!)... ასე, გზის დასაწყისისთანავე მოატყუა სახელმწიფომ ახალგაზრდა, ასე გაუმრუდა გზა. „ეროვნულზე“ რომ მისთვის ვინმეს ეთქვა, არა, შვილო, შენთვის უნივერსიტეტი უდამეტი ბარგი-ბარხანააო, უფრო მაღლიერი არ დაგვრჩებოდა?! მეორე, ასეთი ხელალებით, იოლად გასტუდენტებულებმა დააქციეს ოჯახები, დააცარიელეს სოფლები... ამ ზაფხულს, იმერელი გლეხი, მისთვის და-მახასიათებელი იუმორით და ერთგვარი ირონიითაც მეუბნებოდა: – ეს რა უნივერსიტეტი გაქვთ, ძამია, ასეთი, 12 წელია ჩემი გიზოიას ხელში წიგნი არ დამინახავს და გუშინ დემონსტრაციულად გამომიცხადა: – ხომ ვასახვევ, ძამა, ეროვნულები ჩავაბარე და სტუდენტი გავხდი, ახლა სწავლის გადასახადი უნდა მომიხერხოო. პირკატა მეცა (საბედნიეროდ, იცვლება ქართველი კაცის მენტალიტეტი), საიდან მოვუტანო ახლა ათასები? ამ პატიოსანმა იმერელმა გლეხმა იმისთანა თვლებით შემომხედა, თითქოს შვილს უნივერსიტეტში კი არა, კატორლაში აგზავნიდა. მესამე და მთავარი: სახელმწიფო, ხელისუფლება დღევანდელი დღით ცხოვრობს. ყოველგვარი ემოციების გარეშე, პრაგმატული მიდგომით რომ გავაცნობიერთ, ვნახავთ, რომ შემოსავლებს დახარბებული ხელისუფლება, გაუზარებული შეღავათებითა და დათმობებით, უფსკურულისკენ მიაქანებს ახალგაზრდებს – ჩვენს ხვალისდელ დღეს, მოტივაციას უკარგავს ნიჭიერსა და მართლაც საუნივერსიტეტოს... და რაც ყველაზე საგანგაშოა – აზარალებს ეროვნულ იდეას, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ჩვენს მომავალს, მათ კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმს. ეს კი მართლაც საქვეყნო სადარდებელ-საფიქრალია!

ჯამბუ აპალიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

სამოღვაწე გეგმით

ЧЕЛОВЕК И ЕГО ЗДОРОВЬЕ

ბიოლოგიის მასწავლებლის მიერ მომზადებული ინტეგრირებული სასწავლო გეგმა, თემა – ადამიანი და მისი ჯანმრთელობა

ПЛАН УРОКА

Имя, фамилия учителя: Оксана Гусак

Предмет: биология

Степень обучения/класс: базовая/9 класс

Количество учеников: 22 (ученики с особыми потребностями – 0)

Тема урока: Человек и его здоровье

Тип урока: инновационный, «учебные остановки»

Язык обучения: русский

Цель урока: ученики правильно будут рассуждать о факторах, от которых зависит состояние здоровья человека; развивают навыки работы в группе, коммуникации, самооценки и различные мыслительные навыки; смогут обрабатывать информацию представленную в различных формах.

№	Описание активности	Используемые методы	Формы организации класса	Учебные ресурсы	Время (мин.)
1.	Урегулирование организационных вопросов. • Приветствие класса; • Учет посещаемости учеников; • Ознакомление с темой урока; • Определение цели урока; • Напоминание правил поведения и критериев оценки.	Вопрос-ответ, беседа	Общая, классная	Журнал, рубрика оценки, правила поведения	2мин.
2.	А фаза – вызов. С целью актуализации имеющихся знаний и повышения мотивации учеников учитель задает следующие вопросы: • что значит быть здоровым? • как понять выражение «организм – единое целое»? • какие формы регуляции процессов в организме существуют? • в чем заключается целостность организма? И ее нарушение? Ученики поднятием руки показывают свою готовность и желание отвечать. После завершения активности учитель дает ученикам эффективную обратную связь.	Вопрос-ответ	Обще-классная	Маркеры, флипчарты	3мин.
3.	В Фаза. Конструирование знаний. Класс поделен на 4 группы по «цвету». В течение заранее определенного времени группы работают на учебных остановках и выполняют конкретные задания. После звукового сигнала каждая группа переходит на следующую остановку. Учитель осуществляет наблюдение и собирает информацию для последующей развивающей оценки. Учебные остановки: 1. „Прочти текст и составь схему“. Учитель просит учеников прочитать данный текст и составить схему «Что такое здоровье» в соответствии с критериями 2. „Опиши и объясни“ Учитель просит учеников описать данную диаграмму «Здоровье и различные факторы» и объяснить по принципу: «я вижу...», «это значит...» 3. „Биоресторан“ Используя данный линк – https://ru.depositphotos.com/183-502664/stock-photo-organic-food-for-healthy-nutrition.html , ученики должны выбрать пищевые продукты в соответствии с ситуациями: • Выпишите 3 продукта, способствующих укреплению кровеносных сосудов. • Выпишите 3 продукта, рекомендуемых при железодефицитной анемии. • Выпишите 3 продукта, которые не желательны при сахарном диабете. 4. „Памятные карточки“. Учитель просит учеников составить памятки, в которых будут записаны 3 основных совета по сохранению здоровья человека.	Групповая работа, чтение текста, составление схем, описание рисунка, использование интернета	Групповая	Рабочие листы, флипчарты, маркеры	20мин. (5мин. на выполнение каждого задания)
4.	Презентация. После выполнения задания каждая группа остается на той остановке, на которой закончили работу, и презентатор от каждой группы представляет свою работу. После завершения активности учитель осуществляет с учениками эффективную обратную связь.	Презентация	Обще-классная Групповая	Рабочие листы	7мин.

5.	Фаза С. Обобщение/рефлексия. С целью обобщения и закрепления полученных знаний учитель предлагает ученикам выполнить тест «Как я отношусь к своему здоровью?». После выполнения учитель дает ключ и ответы к тесту и обратную связь.	Тестирование	Индивидуально	Рабочие листы с тестами	5мин.
6.	Решение биологической задачи. Ученики развивают навыки мышления и самооценки. Биологическая задача. Спорят двое. 1й – здоров я или болен – это мое личное дело. 2й – нет, здоровье каждого человека общественное достояние, влияет на жизнь и труд других людей. Кто из них прав? Обоснуйте ваш ответ. После выполнения задания ученики представляют и обсуждают свои варианты ответов на поставленную задачу, учитель дает эффективную обратную связь.	Решение задачи Мини-дискуссия	Индивидуально Обще-классная	Рабочие листы с задачами	5мин.
7.	Оценка и подведение итогов. С целью завершения урока учитель совместно с учениками подводит итоги, оценивает и задает домашнее задание. Домашнее задание. Написать мини-эссе на тему «Как я забочусь о своем здоровье». После объяснения домашнего задания учитель дает обратную связь учениками в виде комментариев развивающей оценки и определяющей оценки, для чего использует рубрику оценки групповой работы и участия в процессе урока соответственно. Ученикам предлагается заполнить опросники самооценки. С целью подведения итогов учитель также просит учеников заполнить «выходные билеты»: 1. „Сегодня я впервые узнал (-а)...“ 2. «Я думаю, что...» 3. «Для меня эта тема важна потому что...» 4. «Мое отношение к данному вопросу изменилось (не изменилось)...»	Беседа Инструктаж к заданию Письменная работа	Общая классная Индивидуально	Рубрики оценки Опросник для самооценки «Выходные билеты»	3мин.

Результаты, которые должны быть достигнуты:

Био. IX.3. Ученики могут анализировать значение здорового образа жизни для человека:

- Описывают значение физической активности для здоровья человека и определяют ее роль для уменьшения риска возникновения тех или иных заболеваний;
- Изыскивают информацию об ожидаемых нарушениях в связи с неправильным питанием;
- Изыскивают информацию, анализируют и рассуждают о вредном воздействии на функционирование тех или иных систем органов организма употребления наркотиков и курения табака.

Оценка:

№	Критерии оценки презентации	Слабо, удовлетворительно, хорошо, на высоком уровне
1.	Интересное вступление	
2.	Интересное и творчески оформленное представление работы	
3.	Исследование проблемы и анализ	
4.	Поиск путей решения проблемы	
5.	Понятное (логическое) изложение темы	
6.	Речь, манера изложения	
7.	Использование наглядности	
8.	Контакт с аудиторией	
9.	Умение владеть информацией (умение адекватно строить вопрос-ответ)	
10.	Соблюдение лимита времени	

Критерии оценки работы в группе		1-4
Соблюдение правил групповой работы.		
Члены группы работают совместно для достижения поставленной цели.		
Обязанности распределены поровну.		
Слушают друг друга и учитывают мнение друг друга.		
Выслушивают инструкцию учителя и самостоятельно выполняют задание.		
Группа готовит презентацию и высказывают свое мнение.		
Придерживаются лимита времени во время презентации.		

Лист самооценки группы

Показатели	Комментарий	Самооценка
Работали дружно, слушали друг друга.		
Свободно высказывали свою точку зрения.		
Соблюдали культуру общения.		
Трудно было договориться.		
Не все члены группы внесли свой вклад в работу.		
Мы работали слаженно, у нас все получилось.		
Было трудно, но мы справились.		
Было трудно, справились с помощью учителя.		

სამოღალო გაკვეთილი

ინტეგრირებული გაკვეთილი

საბანო: ბუნებისმეტყველება, ინტეგრირებული მათემატიკასთან
სწავლების საფეხური/კლასი: I საფეხური/III კლასი
მოსწავლის რაოდენობა: 15 მოსწავლე
სამოღალო გაკვეთილის ტიპი: ინტეგრირებული გაკვეთილი
ინტეგრირებული გაკვეთილის თემა: „რა ვიცით შავი ზღვის შესახებ?“

Table with 8 rows and 2 columns. Row 1: გაკვეთილის მნიშვნელობა/აქტიულობა. Row 2: გაკვეთილის მიზნები და შედეგები. Row 3: კავშირი ესგ-სთან. Row 4: სასწავლო მასალა ტექნიკური რესურსები. Row 5: შეფასების საგანი და პროცედურები. Row 6: წინასწარი ცოდნა. Row 7: გაკვეთილის მსვლელობა/საკლასო მენეჯმენტი. Row 8: შეფასება (3 წუთი).

გამოყენებული რესურსები:
ატრიბუტი 1. ვიდეოს ჩვენება - „შავი ზღვა“, მოტივაციის ასამაღლებლად.
ატრიბუტი 2. ტექსტის კითხვა-ანალიზი, უცნობი სიტყვების ახსნა-განმარტება.
ატრიბუტი 3. ფრაზების განხილვა-ანალიზი.
ატრიბუტი 4. „რა მქვია მე“.

მრავალი წლის მანძილზე ამაყად ვატარებდი და მერე დამარქვეს შავი ზღვა. ის სახელი ქართულად სტუმართმოყვარე ზღვას ნიშნავდა.
2. ზღვის უწყინარი ცხოველი - მე ვარ ძალიან საყვარელი და ადამიანის ერთგული შავი ზღვის ბინადარი.
3. ზღვის ტრანსპორტი - მე ვარ ზღვის ხელოვნური ტრანსპორტი, ვემსახურები ადამიანებს, ვამოგზავნებ სხვადასხვა ქვეყანაში, მრავალი ადამიანის და ტვირთის გადატანა შემოძლია და ძლიერ ტალღებსაც არ ვუშინდები, ვინ ვარ, აბა, მე?
4. ზღვაში ჩამდინარე საქართველოს დიდი მდინარე - რიონი;
5. საზღვაო ტრანსპორტი, რომელსაც მე ზაფხულებს ვადაპყავს და მანქანებიც ვადააქვს - მეც ზღვის ტრანსპორტი ვარ, მაგრამ სხვა ტრანსპორტისგან განსხვავებული, მე ზაფხულის გადაყვანაც შემოძლია და ასევე მანქანების გადაყვანასაც შეეძლება, აბა, თუ გამოიცნობ ჩემს ვინაობას?
6. რომელ აუზს ეკუთვნის შავი ზღვა?
7. საგარჯიშო - რას გვეუბნება ეს კომიქსები?

რეფლექსია

რამ განაპირობა შერჩეული ტიპის გაკვეთილის ჩატარება?
სასწავლო საგნებს შორის კავშირის დამყარება მოსწავლეებისთვის, სასარგებლოდ ერთად, ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით, დაწყებით საფეხურზე.
ატრიბუტი 6. საგარჯიშო - რას გვეუბნება ეს კომიქსები?

რამ განაპირობა შერჩეული ტიპის გაკვეთილის ჩატარება?
სასწავლო საგნებს შორის კავშირის დამყარება მოსწავლეებისთვის, სასარგებლოდ ერთად, ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით, დაწყებით საფეხურზე.
ატრიბუტი 7. საგარჯიშო - რას გვეუბნება ეს კომიქსები?

რამ განაპირობა შერჩეული ტიპის გაკვეთილის ჩატარება?
სასწავლო საგნებს შორის კავშირის დამყარება მოსწავლეებისთვის, სასარგებლოდ ერთად, ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით, დაწყებით საფეხურზე.

რამ განაპირობა შერჩეული ტიპის გაკვეთილის ჩატარება?
სასწავლო საგნებს შორის კავშირის დამყარება მოსწავლეებისთვის, სასარგებლოდ ერთად, ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით, დაწყებით საფეხურზე.

რამ განაპირობა შერჩეული ტიპის გაკვეთილის ჩატარება?
სასწავლო საგნებს შორის კავშირის დამყარება მოსწავლეებისთვის, სასარგებლოდ ერთად, ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით, დაწყებით საფეხურზე.

რამ განაპირობა შერჩეული ტიპის გაკვეთილის ჩატარება?
სასწავლო საგნებს შორის კავშირის დამყარება მოსწავლეებისთვის, სასარგებლოდ ერთად, ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით, დაწყებით საფეხურზე.

რამ განაპირობა შერჩეული ტიპის გაკვეთილის ჩატარება?
სასწავლო საგნებს შორის კავშირის დამყარება მოსწავლეებისთვის, სასარგებლოდ ერთად, ძალიან საინტერესოა, განსაკუთრებით, დაწყებით საფეხურზე.

დალი თურბანიძე
სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ციხისძირის საჯარო სკოლის დანერგული კლასების მენტორი მასწავლებელი

საზოგადოებრივი ლიტერატურა

გმირების გამოვლენა

გმირისა და ანტიგმირის გააზრების სწავლებისათვის

საბაკვიტილო თემა: გიორგი ლეონიძის „ნატურის ხე“, „ფუფალა“

მიზანი: მოსწავლეები შეძლებენ ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას, ლიტერატურასა და საზოგადოებაში არსებული მიჩნევებისა და სტერეოტიპული დამოკიდებულებების შეფასებასა და განმარტებას.

ქართ. XII. 6. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა ტექსტში ასახული ფასეულობებისა და შეხედულებების ერთმანეთთან შედარება.

ქართ. XII. 7. მოსწავლეს შეუძლია გააანალიზოს კულტურული, სოციალური და ისტორიული ფასეულობების გავლენა ტექსტსა და მის ინტერპრეტაციაზე.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტის მიხედვით, მოზარდმა უნდა შეძლოს ტოლერანტულ და ჰუმანურ პიროვნებად ჩამოყალიბება. ლიტერატურული ტექსტი ადამიანური მოვლენებისა და გამოვლენების იმპერსონალურად განსჯის საშუალებაა, პოზიტიური და ნეგატიური დამოკიდებულებებისა და შეფასებების, სოციალური მიმართებების წარმოდგენის ხელსაყრელი პირობაა.

დამხმარე ლიტერატურის სახით მოსწავლეებს ვთავაზობ **ბელა ნიფურის** სახელმძღვანელოს – ქართული ლიტერატურა X /გამომცემლობა „არტანუჯი“, 2009-2013/, რომელშიც ზედმიწევნით ზუსტადაა წარმოდგენილი ბრბოს მიერ მარგინალიზებული ადამიანის სვე-ბედი რეპრესიულ ეპოქაში /გვ.201-211/.

პროვოცირების ფაზაზე კლასს რესურსის სახით წარვუდგენ მხატვარ ჯემალ ტაბიძის ნახატს „ფუფალა“, რომელიც შესრულებულია აპლიკაციებით, ჩანარებით, მასალად გამოყენებულია „მაქმანები, რუშები და ფანციფუნცები“, რაც უსათუოდ მარტასთან სულიერ ნათესაობას მოასწავებს. ფერმწერის მიერ გადაზრებული **ფუფალას ატრიბუტებია:**

ა/ხმელი ჭადრის ფოთოლი – წარმავლობისა და პოეტურობის ნაზი სიმბოლო.

ბ/ქოლგა – მფარველობისა და დაცვის მოთხოვნისათვის თუ არტისტის ანარეკლი.

მალღებუა მოსწავლეთა ინტერესი და თემის სიღრმისეულად გააზრების მოტივაცია. მოსწავლეები ეძებენ პასუხებს **სახე-იდების** გასაშიფრად და თავისებურ პერსონოლოგიურ თუ ლიტერატურათმცოდნეობით დასკვნებს გვთავაზობენ.

გაკვეთილზე კეთდება შესაბამისი დასკვნა: გმირი არის განსაკუთრებული ძალისა და ნებისყოფის, ამაღლებული სულისკვეთებისა და მისწრაფებების ქარიზმატული პიროვნება, რომელსაც შეუძლია ამქვეყნიურისგან დამოუკიდებელი პოეტური სამყაროს შექმნა, სულიერ ემიგრაციაში გადასახლება. „მინიერლთან“ /ახსენდებათ ლელთ ლუნის ტერმინი უკეთურების აღმნიშვნელად/... ფუფალას დიდი ნებისყოფა აქვს. ის არა მხოლოდ უძლებს სულიერ და ფიზიკურ ტკივილებს, არამედ მკურნლობს კიდევ ქრისტიანული კაცთმოყვარეობის შესაბამისად. ფუფალა ნამდვილი „**მუფარახია**“, **მკურნალი**, **საუკეთესო რესურსი**, **სოფლის კოლორიტი**, ურომლისოდაც

წუთისოფელი გაფერმკრთალდება. სოფლები შევლისთვის მიმართავენ. ფუფალას სხვისი ტკივილების დაამება შეუძლია, თუმცა მისი შველის სურვილი არავის უჩნდება – „რა აქიმი დასწულდეს, მისთვის ვინმეცა გააქიმდა“. ამიტომ განიცდიან გმირები მარტოობის მწარე სევდას და „ძლიერს უფრო მეტად უჭირს ამქვეყნად“. ფუფალაც ერთ-ერთი მათგანია. „მინდვრის თავივითაა“ და მაინც ყველას იკრებს, ყველას აინტერესებს, ყველას იზიდავს მისი ამოუცნობი ფენომენი. ის დედაკაცები კი, რომელთაც სავეს და სრულყოფილი ცხოვრება აქვთ, საკუთარი ბედნიერება დაგინწყებით და სხვისი ცხოვრების დრამატიზმით უზომოდ ხარობენ. „სოფლის არეობაზე, იჯდა ქალთა სინდერიონი. თვალყვები ქორელები ქაქანებდნენ.“

ანტიგმირი – გმირის სისუსტე და დამდაბლება-დაქვეითება, ესთეტიკური სულის ანტიესთეტიკურად პრეზენტაცია... ეს წუთისოფლის „ორგემავებისა“ და ამბივალენტურობის ნიშნებია, რის გამოც საბრალო ფუფალამ უნდა ზღოს.

დღესაც ფართო საზოგადოებამ ფუფალა მხოლოდ კნინ ადამიანად იცის და თუ ვინმეს გაიკვირვა „საჭირო“, მეტსახელად „ფუფალას“ წასძახებენ. რატომ ხდება ასე?

მოსწავლეები პასუხობენ, რომ ეს რთული საკითხია და განპირობებულია, ერთი მხრივ, საზოგადოებაში სიყვარულის მოკლებით. ამასთანავე, დაცინვა ერთგვარი აღიარებაცაა, გავისწავლოთ რომ „ფუფალა“ სწორედ მაშინ შეარქვეს, როცა ახალგაზრდა და მოხდენილი იყო /გვითხულობთ პასუხებს ტექსტიდან, ვუკვირდებით კინემატოგრაფიულ კადრებს/. ვრწმუნდებით, რომ თვით ეს სახელი უკვე მშვენიერების აღიარებაა.

სახელის ესთეტიკური გააზრება: ბერნერიტად „ფუფალას“ სახელი „უ ფ ა ლ“ს უკავშირდება. „ფ - უფალ - ა“ – ენაბრგვილი ბრბოს უნებლიეთ სწორედ ასეთად, „უფლისად“, უფლისმიერად თუ ღვთისნიერად, უღიარებია თავისგანვე დამცირებული ქალი. მოსწავლეები პარალელისათვის იხსენებენ, რომ პილატემ ირონიით დააწერა ჯვარზე: „იესუ ნაზარეტელი, მეფე ჰურიანთა“. ნების გაუცნობიერებლად წარმოითქვა ჭეშმარიტება, ირონიული ინტონაცია კი წარწერაზე აღარ იკითხება. მისი მიმოსვლაც ამ სოფლის შარავნაზე თავისებური გოლგოთა და მძიმე ჯვრის ზიდავა, უფლის გზაა.

ამიტომაცაა ძლიერი ფუფალა და იარაღს პოულობს წუთისოფლის ისრების გასაძლებად – „მე არ მეშინია, ახლა რაც გინდა დამიძახონ!“ მისი იდეალი კი შილაა – ბოჭორმის წმინდა გიორგის მსგავსი ჭაბუკი.

ანტიგმირს – ბრბოს, მჩაგვრელს /მობერს/ თავისი **სტანდარტები და მახასიათებლები** აქვს: უმადურობა, დაცინვისა და გარიყვის სურვილი. სოფელი დედაკაცების ინფანტილური, დამშეული გონება საზრდოს ეძებს და დაუცველს ეტანება. ასეთებად მარტა, ფუფალა, ოფელია... აღმოჩნდებიან – „დეველნი სიმართლისათვის“. ბავშვებს ახსენდებათ გოდერძი ჩოხელის საბრალო პერსონაჟიც და უღვივდებათ **ემპათიის გრძნობა**. ცდილობენ შეადგინონ ნატივ და სოფლისგან



მოძაგებულ გმირთა პარადიგმა. მოსწავლეები საინტერესო სინონიმურ სახეებს, სეხნიებს ხედავენ და აკვირდებიან მათ შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს; ამჩნევენ, რომ ფუფალა დაბერებული მარტაა. ერთნაირი არსების ორი გზა: მონამიბორივი და მოღვაწეობითი. ამიტომაც ვერმკრთალდება მათ თვალში მოყვასთა მიწიერი შეცოდება.

მოსწავლეები გამოთქვამენ სურვილს, მოთხრობისა და ნახატის შთავგონებით დაწერონ სინთეზირებული ესე – **„მდიდარი, მშვენიერი ფუფალა“**.

მიღწევა შედეგი: **გაკვეთილის დასასრულს კლასი ახერხებს მიღებული ცოდნის ლეგიტიმაციას. მოსწავლეები ლიტერატურული სახე-იდების კვალობაზე მსჯელობენ ადამიანთა საუკეთესო ინტერესებზე.**

ნიმო ტონია

ა/ა/ იმ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სახელობის სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

- გამოყენებული ლიტერატურა:**
1. ბელა ნიფურია, სასკოლო სახელმძღვანელო – ქართული ლიტერატურა X/გამომცემლობა „არტანუჯი“, 2009-2013/.
 2. გიორგი ლეონიძე, „ნატურის ხე“.
 3. <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=30&t=2720>

იუბილე

განათლების ქერა მალაღმთიან კუთხეში

არსებობენ ადამიანები, რომლებიც თავიანთი მოღვაწეობით ღრმა კვალს ტოვებენ საქართველოს ამა თუ იმ კუთხის განვითარებაში. სწორედ ასეთი ადამიანია მალაღმთიანი გუდაურის სკოლის დირექტორი, მეცნიერებათა დოქტორი, **ანზორ ხვედელიძე**.

1994 წლის ნოემბერში, 25 წლის წინ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის სამთო-სათხილამურო კურორტ გუდაურში, ზღვის

ღონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე, სასტუმრო „გუდაურის“ მიერ დაარსდა საპორტული სკოლა, რომლის ხელმძღვანელადაც თბილისიდან ბატონი ანზორი იქნა მინიჭებული. მან თბილისში კომფორტულ, უზრუნველ ცხოვრებას მალაღმთიან სოფელში მოღვაწეობა ამჯობინა და დასაუფლებელი წვლილი შეიტანა სკოლის დაარსებასა და განვითარებაში.

სკოლა, 2012 წლიდან, განათლების სამინისტროს დაქვემ-

დებარებაშია და მას საჯარო სკოლის სტატუსი აქვს. გუდაურის საჯარო სკოლას, 2019 წლის ნოემბერში, დაარსებიდან 25 წელი შეუსრულდა და ამ 25 წლის მანძილზე მას ღირსეულად უძღვება და ხელმძღვანელობს ბატონი ანზორი. სწორედ მისი დამსახურებით, სკოლა მუდმივად ინარჩუნებს საპორტულ ხაზს, მისი სპონსორობით დღემდე აქვს სკოლას სათხილამურო აღჭურვილობის ფონდი და სწორედ გუდაურის სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ მსოფლიო, ევროპისა თუ ოლიმპიადის ასპარეზობებზე.

ბატონი ანზორის მოღვაწეობის შედეგად, ეს სკოლა იქცა არა მარტო სპორტსმენების აღზრდის კერად, არამედ განათლების საუკეთესო ფუძედ მალაღმთიან კუთხეში. სკოლის მოსწავლეები წარმატებით გამოდიან რეგიონულ შეჯიბრებებში და გამოიჩინებენ განათლებისა და ინტელექტის მაღალი დონით.

დირექტორის მიერაა შექმნილი სკოლის მდიდარი აუდიომასალა, ბიბლიოთეკა და ვიდეოთეკა: მუსიკაში, ბიოლოგიაში, ზოოლოგიაში, ევოლუციაში, ისტორიაში, რელიგიის ისტორიაში, ფიზიკაში, ასტრონომიასა და ასტროფიზიკაში, ასევე, ბევრ სხვა სამეცნიერო დარგში, რასაც, ეროვნული სტანდარტით გათვალისწინებული საგნების პარალელურად, მოსწავლეები ბატონი ანზორისგან ლექციური კურსის სახით ისმენენ.

დღეისათვის სკოლა დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური პედაგოგებით.

2019 წლის ნოემბერი საიუბილეო თარიღია როგორც სკოლისთვის, ასევე მისი დირექტორისთვის, ბატონი ანზორ ხვედელიძისთვის, რომელსაც 81 წელი შეუსრულდა.

გუდაურის საჯარო სკოლის მასწავლებლები სიამაყით ეულოცავენ სკოლასა და დირექტორს საიუბილეო თარიღს და ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი სკოლის მოღვაწეობა ბატონ ანზორთან ერთად ისევე ღირსეულად გაგრძელდება, როგორც ეს ამ 25 წლის მანძილზე ხდებოდა.

გუდაურის საჯარო სკოლის მასწავლებლები



გამოსვლილება

მათემატიკის გაკვეთილი კითხვის უნარის განვითარებისთვის

კლასი: VI

თემა: პირდაპირპროპორციული სიდიდეები

მიზანი: მოსწავლეები შეისწავლიან პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებას სიდიდეებს შორის; შეძლებენ ორ სიდიდეს შორის პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების ამოცნობას; გამოუმუშავებენ მიღებული ცოდნის გამოყენების უნარ-ჩვევებს; ხელი შეეწყობა კითხვის უნარის განვითარებას.

შესწავლილი მასალის გამოყენება-განმტკიცების მიზნით, მოსწავლეებს ვთავაზობ აქტივობას: ჩამოვატარებთ ყუთს – „ცოდნის სკივრი“, რომელშიც მოთავსებულია კითხვები განვლილი მასალიდან (ყუთში კითხვების რაოდენობა თანდათან ივსება, შესწავლილი მასალის შესაბამისად), თითოეული მოსწავლე ყუთიდან იღებს ბარათს და პასუხობს კითხვას არგუმენტირებული მსჯელობით. მოსწავლეები იღებენ განმავითარებელ უკუკავშირს, მოსწონთ, ხალისობენ და იმტკიცებენ წინარე ცოდნას.



თულად, იაზრებდნენ და აგნებდნენ სწორ პასუხებს). კითხვა-პასუხის მეთოდით მოსწავლეებისგან მივიღე პასუხი კითხვაზე: რა გამოყენება აქვს პროპორციასა და მასშტაბს რეალურ ცხოვრებაში? დავესაბუთე მოსწავლეებს, რამდენად მნიშვნელოვანია პირდაპირპროპორციული სიდიდეების ცოდნა და ავეხსენი, როგორ დაეხმარებათ ამ თემის კარგი ცოდნა შემდგომში ახალი საგნების: ფიზიკისა და ქიმიის საკითხების უკეთ შესწავლაში, ხოლო შესწავლილ საკითხებს რამდენად დიდი როლი აქვს რეალურ ცხოვრებაში, რიგი პრობლემების მოგვარების საქმეში.

ჩემი მითითებით, მოსწავლეებმა გადაფურცლეს სახელმძღვანელო მე-40 გვერდზე. ერთმა მოსწავლემ ნაიკითხა თემის დასახელება, შემდეგ თითოეულმა მოსწავლემ ინდივიდუალურად ნაიკითხა ამოცანა 1, მისი ამოხსნის გზა და პირდაპირპროპორციული სიდიდეების განმარტება. კითხვის დროს მოსწავლეები იყენებდნენ ხეულის ენას – ერთი ხელის ანევიტ მანიშნებდნენ, რომ ტექსტი ერთხელ ნაიკითხეს, ორი ხელის მოძრაობით კი ვიგებდი, რომ მოსწავლეებმა ტექსტი ორჯერ ნაიკითხეს. ამის შემდეგ მუშაობა დაფასთან გამოკრულ ფლიფჩარტზე გაგრძელდა. მოსწავლეები ფლიფჩარტზე გამოტანილ კითხვებს პასუხობდნენ, შეავსეს ცხრილი და განმარტეს პირდაპირპროპორციული სიდიდეები (ფლიფჩარტზე ყველა დავალების შესაბამისი საკვანძო სიტყვები, უკეთ აღქმის მიზნით, ფერადი მარკერით იყო შესრულებული).

პირდაპირპროპორციული სიდიდეები
უპასუხო კითხვებს:

უცნობი სიტყვები	ა.ბ.გ.დ
სად მიმდინარეობს მოქმედება?	ქარხანაში
რა პროდუქტებზეა საუბარი?	ქვეყნისა და ზეთი
რამდენი სიდიდე მონაწილეობს?	ორი
ამ ორ სიდიდეს შორის რა ურთიერთობაა?	პირდაპირპროპორციული
რატომ სიდიდეს ერთს სიდიდესთან?	რადიკალიზაცია

შევესით ცხრილი


მჭედეუნი (ა)	7	35	70	140	14
ზეთი (ბ)	2	10	20	40	4
10 ლიტრი მჭედეუნი და 2 ლიტრი ზეთი	3,5	3,5	3,5	3,5	3,5

თვისება: და ორი სიდიდე
პირდაპირპროპორციული, მშინ ამ სიდიდეები
შესაბამისი მნიშვნელობების ტარდობა
ერთი და იმავე რიცხვის კოეფიციენტი

თითებებს და განმავითარებელ უკუკავშირს. თითოეულმა ჯგუფმა შესრულებული სამუშაოს პრეზენტაცია გააკეთა და ამოცნობილი პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების მაგალითები დაასახელა. მოსწავლეებმა კიდევ ერთხელ ნაიკითხეს წინასწარ გამზადებული პოსტერი – პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების მაგალითები და გამოაკრეს ფლიფჩარტზე, რომელსაც შემდგომშიც ნაიკითხავენ, გამოიყენებენ პრაქტიკული სამუშაოს შესრულებისას.

ჯგუფების მუშაობა შეფასდა შეფასების რუბრიკის მესამე კრიტერიუმით (ჯგუფის თითოეული წევრი ინდივიდუალურად კითხულობდა მიცემულ დავალებას, ნაკითხული მასალის გააზრების შემდეგ, ჯგუფური მუშაობის დროს, აფიქსირებდნენ საკუთარ აზრს და პატივს სცემდნენ სხვის მოსაზრებას; ამოიცნეს პირდაპირპროპორციული დამოკიდებულება და ამჟღავნებდნენ საკითხის ცოდნას).

მოსწავლეების მითითებით, მოსწავლეებმა სახელმძღვანელო 42-ე გვერდზე გადაშალეს და ამოხსნეს ზეპირი სავარჯიშოები – №2, №3. მოსწავლეებისგან ვითხოვედი ამოცანის გააზრებულ ნაიკითხვას, მოცემული და საძიებელი სიდიდეების გამოფენასა და გზას, რომელსაც მოსწავლე სწორ პასუხსამდე მიჰყავს. №6 ამოცანის ამოხსნისას, ერთი მოსწავლე მუშაობდა დაფასთან, ხოლო დანარჩენები – ადგილზე, საშინაო დავალების რეგულაციებში, ინდივიდუალურად. დაფასთან მყოფმა მოსწავლემ ამოხსნა ამოცანა, გააანალიზა ამოხსნის გზა, ჩამოაყალიბა ამოცანის ამოხსნის ალგორითმი.



შესწავლილი მასალის მთლიანობაში აღქმის მიზნით, კარგად იმუშავა აქტივობამ „დაასრულე წინადადება“. მოსწავლეები, წინასწარ გამზადებული ბარათებიდან, იღებენ ერთ-ერთ მათთვის უცნობ ბარათს, კითხულობენ და ეძებენ მენყვილეს. დაწყვილების შემდეგ, მზადდება პრეზენტაცია.



მოსწავლეებს რამდენიმე წინადადებათ ვახსენებ იმ საკითხებს, რომელიც უშუალო კავშირში იყო დღევანდელ გაკვეთილთან და, ახალი თემის შესწავლისა და წინარე ცოდნის გააქტიურების მიზნით, მოსწავლეებს, ჯგუფებში სამუშაოდ, ვურიგებ ჩემ მიერ შექმნილ „კროსვორდებს“. გაკვეთილზე სამი ჯგუფი მუშაობდა, ერთი და იმავე თემების ირგვლივ სხვადასხვა შინაარსის დავალება ჰქონდათ. მარტივი, ნათელი, მკაფიო ინსტრუქციის მიცემისა და სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო დროის მითითების შემდეგ, ჯგუფები მუშაობას შეუდგნენ. ნამუშევრები დაფაზე გამოიკრა და პრეზენტაციისას მოსწავლეებმა, კროსვორდების პირველ სვეტებში, ნაიკითხეს – „პირდაპირ“ (1-ლი ჯგუფი), „პროპორციული“ (მე-2 ჯგუფი), „სიდიდეები“ (მე-3 ჯგუფი) და აუდიტორიას გააცნეს მასალა, რის საფუძველზეც შეავსეს კროსვორდი. მე, როგორც ფასილიტატორი, მუშაობის პროცესში მივდიოდი თითოეულ ჯგუფთან, ვუწვევდი საჭირო დახმარებას. მოსწავლეების პრეზენტაციის შემდეგ, პირველ სვეტში ნითელი მარკერით ჩანერილ სიტყვებს ვკითხულობ და კლასს ვაცნობ გაკვეთილის თემას: პირდაპირპროპორციული სიდიდეები; გაკვეთილის მიზანსა და განმავითარებელი შეფასების რუბრიკას.

უპასუხო კითხვებს:

უცნობი სიტყვები	ა.ბ.გ.დ
სად მიმდინარეობს მოქმედება?	ქარხანაში
რა პროდუქტებზეა საუბარი?	ქვეყნისა და ზეთი
რამდენი სიდიდე მონაწილეობს?	ორი
ამ ორ სიდიდეს შორის რა ურთიერთობაა?	პირდაპირპროპორციული
რატომ სიდიდეს ერთს სიდიდესთან?	რადიკალიზაცია

შევესით ცხრილი

მჭედეუნი (ა)	7	35	70	140	14
ზეთი (ბ)	2	10	20	40	4
10 ლიტრი მჭედეუნი და 2 ლიტრი ზეთი	3,5	3,5	3,5	3,5	3,5

რამდენიმე მოსწავლემ საკუთარი სიტყვებით ჩამოაყალიბა პირდაპირპროპორციული სიდიდეების განმარტება, შემდეგ კი სახელმძღვანელოში ნაიკითხეს ზუსტი განმარტება განმტკიცების მიზნით. ცხრილის შევსების (მოსწავლეთა ჩართულობით) შემდეგ, მოსწავლეებმა დამოუკიდებლად აღმოაჩინეს პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების თვისება, რომ მათი შესაბამისი მნიშვნელობების შეფარდება ერთი და იგივე რიცხვია.

მოსწავლეების აქტიურობისა და ჩართულობის გათვალისწინებით, სამივე ჯგუფი შეფასდა შეფასების რუბრიკის მეორე კრიტერიუმით (ახალი მასალის ნაიკითხვისა და გაანალიზების შემდეგ, დაფაზე გამოკრული ცხრილის შევსებაში მონაწილეობდნენ; საკუთარ მოსაზრებას გამართულად, დამაჯერებლად და მიზნობრივად აფიქსირებდნენ).

მიღებული ცოდნის გაღრმავებისა და პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების ამოცნობის მიზნით, მოსწავლეები ჯგუფური მუშაობისათვის მოვამზადე. დავალების შესრულებისათვის საჭირო ინსტრუქცია მივეცი და სამუშაოსათვის საჭირო დრო განვუსაზღვრე, შემდეგ ჯგუფის წარმომადგენლებმა, წინასწარ გამზადებული დავალებებიდან, ერთ-ერთი აირჩიეს და მიცემული ინსტრუქციის შესაბამისად იმუშავეს. თვალყურს ვადევნებდი ჯგუფების მუშაობას, ვაძლევდი მი-




გაკვეთილის ბოლოს მოსწავლეებმა უპასუხეს კითხვებს: რა თემა შევისწავლეთ? შეგიძლიათ დაასახელოთ პირდაპირპროპორციული დამოკიდებულების სხვა მაგალითები?

საშინაო დავალების გაანალიზების შემდეგ, მოსწავლეებს კიდევ ერთხელ გავამახვილებინე ყურადღება გაკვეთილზე დასახულ მიზანსა და მიღწეულ შედეგზე.

ასეთი აქტივობებითა და მიდგომებით მოსწავლეები უკეთ აღიქვამენ, რა თემა შეისწავლეს, რა იცინა გაკვეთილის დასასრულს, ამავდროულად, მთელი გაკვეთილის განმავლობაში მიმდინარეობს კითხვის უნარის განვითარების ხელშეწყობა.

მერი ჰაზარაძე

სსიპ ჯემალ ქათამაძის სახელობის ქობულეთის მუნიციპალიტეტის ციხისძირის საჯარო სკოლის მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი



აქვე ჯგუფებს ვაფასებ შეფასების რუბრიკის პირველი კრიტერიუმით (ჯგუფის ყველა წევრი მონაწილეობდა წინარე ცოდნის გასააქტიურებელ აქტივობებში, ავსებდნენ კროსვორდს; კითხვებსა და წინადადებას კითხულობდნენ გამარ-

მათივადიკის სწავლაისთვის

პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი

მასწავლებლის სახელი და გვარი: ნინო წილოსანი

საბანო: მათემატიკა

გაკვეთილის ტიპი: სამოდულო (პრობლემაზე ორიენტირებული გაკვეთილი)

სწავლების საფეხური: დაწყებითი/V კლასი

გაკვეთილის თემა: რიცხვითი გამოსახულების შედგენით, კოგნიტური სქემებით (ნახატი-დან და გამოსახულებებიდან) ამოცანების შედგენა-ამოხსნა.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები ამოხსნიან ამოცანებს რიცხვითი გამოსახულების შედგენით. შეძლებენ ზეპირი ანგარიშის ხერხების გამოყენების, ლოგიკური მსჯელობის, პრობლემის გააზრებისა და გადაჭრის უნარების განვითარებას.

№	აქტივობის აღწერა	გამოყენებული მეთოდი/მეთოდები	კლასის ორგანიზების ფორმა/ფორმები	სასწავლო რესურსები	დრო (წთ)
1	აქტივობა 1. კლასის ორგანიზება აქტივობის მიზანი: მოსწავლეებისათვის განწყობის შექმნა. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი აცნობს გაკვეთილის თემას, მიზანს, აქტივობებს, ქცევის წესებსა და შეფასების კრიტერიუმებს (იხ.დანართი №1-2).	კითხვა-პასუხი, დემონსტრირება	მთელი კლასი	წინასწარ ფლიპჩარტზე დაწერილი გაკვეთილის თემა, მიზანი, აქტივობები, ქცევის წესები და შეფასების რუბრიკები (ეხმარება მოსწავლეებს ვიზუალურ აღქმასში)	2წთ
2	აქტივობა 2. საშინაო დავალების შემოწმება აქტივობის მიზანი: მზაობა გაკვეთილისათვის, ცოდნის დონის დადგენა. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი ამოწმებს შესრულებულ დავალებას ჩამოვლით. შეცდომის შემთხვევაში, მოსწავლე დაფასთან გამოყავს და სკაფოლდინგით ასწორებინებს შესაბამის შეცდომებს.	კითხვა-პასუხი, მსჯელობა-დასაბუთება	მთელი კლასი	რვეული, სახელმძღვანელო (თ. ბექაური, ა. საგინაშვილი), დაფა, ცარცი, სანერ-კალამი, „დაიხ-არა“ ბარათები (ეხმარება წინარე ცოდნის შემოწმებაში)	3წთ
3	აქტივობა 3. წინარე ცოდნის გააქტიურება აქტივობის მიზანი: სხვადასხვა დამოკიდებულებების გამოყენება ამოცანების ამოხსნისას. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს კითხვა-პასუხით ადგენინებს ამოცანას და გამოსახულებას (დანართი №3). ამოცანის ამოხსნისას მოსწავლეები განიხილავენ ალტერნატიულ გზას.	კითხვა-პასუხი, მსჯელობა-დასაბუთება, პრობლემის გადაჭრა	ინდივიდუალური, მთელი კლასი	დაფა, ცარცი, ფლიპჩარტი, მარკერი, შუქნიშნები, მასწავლებლის მიერ შექმნილი სლაიდები (ეხმარება ცოდნის გააქტიურებაში)	5წთ
4	აქტივობა 4. ნაკითხულის სწორად გაგება-გააზრება აქტივობის მიზანი: ნაკითხის ახალი ამოცანა, გააზრონ და ამოხსნან ალტერნატიული ვარიანტის გამოყენება. აქტივობის აღწერა: მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისათვის მასწავლებელი მოსწავლეებს აძლევს პრაქტიკულ ამოცანას. საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლე იყენებს შუქნიშნის ფერებს.	მსჯელობა, დასაბუთება, პრობლემის გადაჭრა	მთელი კლასი	ფლიპჩარტზე დაწერილი ამოცანები, შუქნიშნის ფერები	5წთ
5	აქტივობა 5. ცოდნის შეჯამება აქტივობის მიზანი: არსებული ცოდნის დონის დადგენა. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი აჯგუფებს მოსწავლეებს და აძლევს დავალებას, ამოხსნან ამოცანები რიცხვითი გამოსახულებების შედგენაზე. ჯგუფი იწყებს მუშაობას, მასწავლებლის მიერ მიცემული ინსტრუქციის შესაბამისად (იხ. დანართი №3). მასწავლებელი აკვირდება მათ მუშაობას და, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს შესაბამის რჩევებს, აკეთებს ჩანიშვნებს და შეფასების რუბრიკაზე სტიკერებით აკრავს მინიშვნებს. ჯგუფი აფორმებს პასუხებს ფლიპჩარტზე, თავიანთ ნამუშევარს აკრავს დაფაზე და ატარებენ პრეზენტაციას. მასწავლებელი აჯამებს აქტივობას და აჯგუფებს კონსტრუქციულ უკუკავშირს აძლევს.	პრაქტიკული მუშაობა, თანამშრომლობა	ჯგუფური მუშაობა	ფლიპჩარტი, მარკერი, სტიკერი, სანერ-კალამი, მარკერი (საკითხის თანამშრომლობით განმტკიცება)	6წთ
6	აქტივობა 6. სწორი არჩევანის მიღება აქტივობის მიზანი: მოსწავლეების შესაძლებლობების დადგენით, მოტივაციის გაზრდა. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი, სიღრმისეულად წვდომისათვის, მოსწავლეებს აძლევს ამოცანებს და რამდენიმე შესაბამის ამოხსნას. მათ ვეალებათ, შეარჩიონ სწორად შედგენილი გამოსახულება. მოსწავლეები წარმოადგენენ	პრაქტიკული მუშაობა, მსჯელობა-დასაბუთება, პრობლემის გადაჭრა	ინდივიდუალური	ბარათები, ფლიპჩარტი (სწორად გაგება-გააზრება და გადაწყვეტილების მიღება)	5წთ

	თავიანთ პასუხებს და მასწავლებელი მათ აძლევს შესაბამის კონსტრუქციულ უკუკავშირს.				
7	აქტივობა 7. სქემის სწორად წაკითხვა აქტივობის მიზანი: სქემების, ნახატებისა და სიმბოლოების სწორად წაკითხვა-გააზრება. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს თვალსაჩინოდ აძლევს, ინდივიდუალურად შესასრულებლად, არითმეტიკულ გამოსახულებებს და ნახატს. მოსწავლეები ადგენენ ამოცანებს, კითხულობენ და ხალისით ხსნიან.	პრაქტიკული მუშაობა, მსჯელობა-დასაბუთება, ვიზუალური აღქმა, პრობლემის გადაჭრა	ინდივიდუალური	ბარათები, სანერ-კალამი, თაბახის ფერადი ფურცლები (ვიზუალური აღქმა)	6წთ
8	აქტივობა 8. ხედავ, აღქმა, გაგება-გააზრება აქტივობის მიზანი: მოსწავლეების ცოდნის განმტკიცება, შეჯამება. აქტივობის აღწერა: მასწავლებელი მოსწავლეებს, ჯგუფებში სამუშაოდ, აძლევს დავალებას (დანართი №3).	თანამშრომლობა	ჯგუფური	ფლიპჩარტი, მარკერი, სანერ-კალამი, ბარათი (ამოცანა ჯგუფებისთვის, სამუშაოდ – თაბახის ფურცლები)	7წთ
9	აქტივობა 9. შეფასება-შეჯამება მასწავლებელი მოსწავლეებს აფასებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებით, გაკვეთილზე ჩართულობით, პრეზენტაციის უნარით, პრაქტიკული მუშაობით და აჯამებს გაკვეთილს.	შეფასება	ინდივიდუალური	შეფასების რუბრიკები	3წთ
10	აქტივობა 10. თვითშეფასება	გასასვლელი ბარათები	ინდივიდუალური	თვითშეფასების კითხვარი, გასასვლელი ბარათები	3წთ

გაკვეთილის ბოლოს მისაღწევი შედეგები:

• მოსწავლეები ამოხსნიან ტექსტურ ამოცანებს რიცხვითი გამოსახულების შედგენით, არითმეტიკული ოპერაციების გამოყენებით.

მიმართულება: ალგებრული გამოთვლები.

მათ. V.5. მოსწავლეს შეუძლია სიდიდეებს შორის დამოკიდებულების გამოსახვა და აღწერა. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

• აღწერს (მათ შორის რეალურ ვითარებაში) რაიმე სიდიდის თანაბარ ცვლილებას, რომელიც მიიღებს მუდმივი სიდიდის მიმატებით/გამოკლებით.

მათ. V.6. მოსწავლეს შეუძლია ალგებრული გამოსახულების შედგენა და გამარტივება ამოცანის ამოხსნისას. შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე:

• ადგენს რეალური ვითარების ან მისი სიტყვიერი აღწერის შესაბამის ტოლობას, უტოლობას ან განტოლებას (რომელშიც უცნობი არის ტოლობის მხოლოდ ერთ მხარეს);

• არითმეტიკული ოპერაციების გამოყენებით ტექსტური ამოცანის ამოხსნისას, სვამს კითხვებს ამოცანის პირობაში არასრული მონაცემების შესავსებად.

მსჯელობა-დასაბუთება, პრობლემის გადაჭრა: მოსწავლემ უნდა შეძლოს პრობლემების გადაჭრა გამოთვლების, ვარიანტების დათვლის და ობიექტებსა და მათ თვისებებს შორის მიმართებების გამოყენებით.

დანართი №1

ანალიტიკური შეფასება

კრიტერიუმი	არადაამკამყოფილებული /1-4 ქულა/	დამაკამყოფილებული /5-6 ქულა/	კარგი /7-8 ქულა/	ძალიან კარგი /9-10 ქულა/
ცოდნის გამოყენება	უჭირს წინარე ცოდნის გამოყენება.	წინააღმდეგობით შეუძლია გამოიყენოს მიღებული ცოდნა.	იყენებს მიღებულ ცოდნას, მაგრამ აქვს მცირე უზუსტობები.	სრულყოფილად იყენებს მიღებულ ცოდნას, გაკვეთილის სხვადასხვა ეტაპზე.
მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში	იშვიათად ან ძალიან იშვიათად მონაწილეობს აქტივობებში.	ხანდახან მონაწილეობს და შეაქვს წვლილი მხოლოდ ზოგიერთ აქტივობაში.	აქტიურად მონაწილეობს და შეაქვს წვლილი აქტივობათა უმრავლესობაში.	აქტიურად მონაწილეობს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ყველა აქტივობაში.
მსჯელობა-დასაბუთება, პრობლემის გადაჭრა	არ მონაწილეობს მსჯელობა-დასაბუთებაში.	იშვიათად მონაწილეობს მსჯელობა-დასაბუთებაში.	სშირად მსჯელობს და სწორად ასაბუთებს, ზოგჯერ უშედეგოდ შეცდომებს.	ყოველთვის გამართულად და სწორად მსჯელობს საკითხის ირგვლივ და ასაბუთებს.
პრეზენტაციის უნარის ფლობა	უჭირს პრეზენტაციის ჩატარება.	ხარვეზებით ატარებს პრეზენტაციას.	შეუძლია პრეზენტაცია, თუმცა მცირეოდენი ხარვეზებით.	მოსწავლე ფლობს პრეზენტაციის კარგ უნარს და ატარებს ხარვეზების გარეშე.
თანამშრომლობა	უჭირს თანამშრომლობა ან ძალიან იშვიათად თანამშრომლობს თანატოლებთან, წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის დროს.	იშვიათად თანატოლებთან, თანატოლებთან, წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის დროს.	სშირად თანამშრომლობს თანატოლებთან, წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის დროს.	ყოველთვის თანამშრომლობს თანატოლებთან, წყვილებში/ჯგუფებში მუშაობის დროს.
დამოუკიდებლად ფიქრისა და საკუთარ თავში ჩაღრმავების უნარი	უჭირს დამოუკიდებლად საკითხებზე მუშაობა.	უჭირს საკუთარ ნააზრევზე დაყრდნობა და ითხოვს დახმარებას.	აქვს საკითხზე მობილიზების უნარი, თუმცა არ აქვს სიღრმისეული წვდომა.	არის ორგანიზებული, შემოქმედებითი, აქვს საკითხზე ფოკუსირებისა და სიღრმისეული წვდომის უნარი.


მათემატიკის სწავლების სფეროს

დანართი №2
დაპირველად საფუძველზე შეფასების რუბრიკა

Table with 4 columns: კრიტერიუმები, შესრულების დონე (დაბალი 1-5, საშუალო 6-7-8, მაღალი 9-10), მათემატიკური ცნებებისა და დებულებების გამოყენება, გამოთვლები, ამოცანების ამოხსნა...

დანართი №3
ამოცანა:

ნინო უნდა წავიდეს სახლიდან სკოლაში ისე, რომ მან აუცილებლად უნდა გაიაროს ავთიაქი და იყიდოს წამალი. ნინოს სახლიდან სკოლამდე, გარდა ავთიაქისა, არის ბალი და სპორტდარბაზი. განლაგება ასეთია:



მანძილი დანესებულებებს შორის ასეთია: სახლიდან ბა-ლამდე 100მ-ია, ბალიდან ავთიაქამდე - 220მ, სახლიდან სპორტდარბაზამდე - 90მ, სპორტდარბაზიდან ავთიაქამდე - 360მ და ავთიაქიდან სკოლამდე - 100მ. დაეხმარეთ ნინოს სკოლაში წასასვლელი გზის შერჩევაში ისე, რომ წა-მალიც იყიდოს და სკოლაშიც მივიდეს. ამასთან, ნინომ გა-იაროს რაც შეიძლება ნაკლები მანძილი. დაადგინეთ, მოხერხდებოდა თუ არა ამოცანის ამოხ-სნა, რომ არ გვეცოდნოდა მანძილი ავთიაქიდან სკოლამდე?

დანართი №4

ბასბასვლელი ბარათი

მოსწავლის სახელი და გვარი:.....

Table with 2 columns for student information: რა იყო გაკვეთილზე შენთვის ყველაზე საინტერესო, რა გააკეთე გაკვეთილზე კარგად და რა ვერ გააკეთე, რას ისურვებდი, შემდეგი სამუშაოს შესრულების დროს, რომ უფრო კარგად შეასრულო დავალება, რა იყო ბუნდოვანი.

რეზიუმე

კვლევის ფარგლებში, მე-5 კლასში, მათემატიკაში ჩავატარე გაკვეთილი, თემაზე - ამოცანების ამოხსნა რიცხვითი გამოსახულების შედგენით. ნახატიდან და გამოსახულებებიდან ამოცანების შედგენა-ამოხსნა წარმოადგენდა სწორად აღქმის საშუალებას, რადგან დაკვირვებები მიჩვენებდა, რომ მოსწავლეებს უჭირთ წინასიტყვაობის, მითითების, ამოცანის პირობის სწორად გაგება-გააზრება, რის გამოც სწორად ვერ სცემენ პასუხს ამოცანის ძირითად კითხვაზე.

გაკვეთილის მიზანი: მოსწავლეები ამოხსნიან ამოცანებს რიცხვითი გამოსახულების შედგენით; შეძლებენ ლოგიკური მსჯელობის, პრობლემის გააზრების და გადაჭრის უნარების განვითარებას. გაკვეთილის მიზანი პასუხობდა ესგ-ს სტანდარტს.

გაკვეთილი დაიწყო ორგანიზებულად, მიმდინარეობისას ურთიერთობა იყო კეთილგანწყობილი, ეფუძნებოდა პატივისცემასა და თანამშრომლობას. კლასის მართვის, დისციპლინის მხრივაც ვთვლი, რომ გაკვეთილზე პრობლემები არ ყოფილა. მოსწავლეები იცავდნენ ქვეყნის წესებს, სასწავლო დრო ფუჭად არ გამოვიყენებია, გაკვეთილი ბოლომდე ხალისიანად და დინამიურად მიმდინარეობდა, ჩემი პოზიტიური ფესტივალური მოსწავლეები გრძობდნენ, რომ დიდი მოლოდინები მქონდა.

გამოვიყენე სხვადასხვა სახის სასწავლო რესურსი, რამაც ხელი შეუწყო მოსწავლეებს შორის ინტერაქციას. ფიზიკური გარემო შეესაბამებოდა აქტიურობებით გათვალისწინებულ ორგანიზების ფორმებს. კითხვები, რომლებიც გაკვეთილზე დავსვი, იყო თანმიმდევრული, დაბალი სააზროვნო დონიდან მაღალ სააზროვნო დონემდე და ემსახურებოდა გაკვეთილის მიზნის მიღწევას.

ფიქრობ, მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებამ, რომლებიც ზუსტად იყო მორგებული მოსწავლეთა ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებებზე, კლასში მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემო შექმნა, რასაც მოსწავლეთა მქსიმალური ჩართულობა ადასტურებდა. მათ შექმნეს ახალი პრობლემა და გამოავლინეს შემოქმედებითი აზროვნება. ინდივიდუალურად მიცემული არითმეტიკული მოქმედებებით შინაარსობრივად სხვადასხვა ამოცანები შეადგინეს, რომლებიც მახალისებდა კიდევ.

ფიქრობ, მოსწავლეებმა კარგად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები. ორგანიზების სხვადასხვა ფორმები კი (სადაც საჭირო იყო, ინდივიდუალური) მათ დაეხმარა, ეჩვენებინათ მქსიმალური შესაძლებლობები. მოსწავლეები ცდილობდნენ, მათემატიკური ენის გამოყენებით გაეკეთებინათ დასკვნა. ბოლოს, თვითმფასებისათვის, გამოვიყენე გასასვლელი ბარათები.

გაკვეთილმა მიზანს მიაღწია - საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეები კოგნიტურად იყენებდნენ ჩართულობას, იყენებდნენ კოგნიტურ სქემებს, საჭირო შემთხვევაში ვსვამდი კითხვას („რატომ“, „როგორ“...), რომ გამეგო, რამდენად სიღრმისეულად სწავლობდნენ საკითხს. ყველა აქტივობა შევაფასე და გაკვეთილი შევაჯამე. გაკვეთილს ეთმობოდა 45წთ.

გაკვეთილის გაანალიზების შემდეგ ვთვლი, რომ დამოუკიდებელი მუშაობის შემდეგ, სიტყვიერად შეჯამებული სამუშაოები თვალსაჩინოდ, დემონსტრირებით უნდა განმეხილა და შემეჯამებინა.

ფიქრობ, გაკვეთილი საინტერესო იყო კოლეგებისთვის, რადგან შევეცადე მეჩვენებინა, როგორ ვახერხებ, რომ მოსწავლეებმა არა მარტო დაიმასხვრონ ფაქტები, არამედ, პრობლემების გადაჭრის დროს, შეძლონ არსებული ცოდნის გამოყენება, სქემებისა და დიაგრამების აგება, ან პირიქით - კოგნიტური სქემების წაკითხვა, კონსტრუირება და პრობლემის გადაჭრისას მიღებული ცოდნის განვითარება (ტრანსფერი).

ამ გაკვეთილისათვის სამზადისი და განხორციელება ჩემი პედაგოგიური პრაქტიკისა და გამოცდილების სრულყოფის მცდელობა იყო.

ნინო ნილოსანი

სსიპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯის საჯარო სკოლის დირექტორი, მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი

სპორტი

უბოლო წარმატება
კორტ უბალიაში

ამ დღეებში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირებში, საქართველოს ფეხბურთელთა ორი ასაკობრივი ნაკრები გამოვიდა: 17-წლამდელთა პორტუგალიაში ითამაშეს ფინალური ეტაპის შესარჩევი ტურნირი და - წარმატებითაც, თუმცა ფორტუნამაც ძალიან გაუმართლათ, 21-წლამდელთა კი ევროპის 2021 წლის შესარჩევი არიან ჩაბმულები და სკანდალური შეხვედრა დათმეს სლოვაკეთში.

17-წლამდელთა, პორტუგალიაში, ქალაქ მანგუაღდეში ჩატარებული შესარჩევი ეტაპი და ელიტარუნდში კი გავიდნენ, მაგრამ... გოლის გაუტანლად და მოუგებლად! გიორგი ჩიტაურის გუნდი პირველ შეხვედრაში უკრაინასთან დამარცხდა, რასაც მერე ორი უგოლო ფრე მიაყოლა - მასპინძელ პორტუგალიასთან და ალბანეთთან, ელიტარუნდის საგზური კი იმით მოიპოვა, რომ შესარჩევი ეტაპის ჯგუფების ოთხ საუკეთესო მესამეადგილოსან შორის მოხვდა. ელიტარუნდის ნილისყრა დეკემბერში გაიმართება და მაშინ გავიგებთ, ვინ იქნებიან იქ ჩვენი მეტოქეები.

რაც შეეხება 21-წლამდელთა ნაკრებს, მან შესარჩევი ეტაპი ორი საშინაო მოგებით დაიწყო, მაგრამ მას შემდეგ, აგერ უკვე მესამე შეხვედრა ნაავო. სამივე პაექრობა სტუმრად გამართა.

გია ცეცაძის განვითარება გუნდმა მესამე შეხვედრაში სლოვაკეთში გამართა და ფრანგებთან გამართული წინა შეხვედრის მსგავსად, ესეც დრამატულად ნაავო: 2:3. არადა, სლოვაკეთში ანგარიში ჩვენებმა გახსნეს ადრეული გოლით - უკვე მერვე წუთზე. ამ ეპიზოდის გმირად გიორგი კუცია იქცა, რომელმაც ჯერ მეტოქის საჯარიმოსთან ვარდნაში კარგად აართვა ბურთი სლოვაკ ფეხბურთელს, მერე კარგი ორსეკიანი კომბინაცია გაითამაშა ნიკოლოზ მალისთან, საჯარიმოში შევარდა და მისი მშვენიერი პასით მეკარე უმანსოდ დატოვა. შეხვედრის პირველი წუთებიც ჩვენების უპირატესობით წარიმართა, თუმცა პირველივე ტაიმის შუანელში სლოვაკებმა თამაში გაათანაბრეს და 27-ე წუთზე გოლიც გავიტანეს: 1:1. ტაიმის მიწურულს მორიგი უსიამოვნება დაგვატყდა თავს - 39-ე წუთზე ცენტრალური მცველი ლუკა ლორთქიფანი გავიძევეს და კაცნაკლულნი დავრჩით, რაც სლოვაკებმა კარგად გამოიყენეს - 51-ე წუთზე მეორე გოლი გავიტანეს, 65-ე წუთზე კი მესამე გოლიც მივიღეთ. შეხვედრის ბოლოს ჩვენები გააქტიურდნენ და 88-ე წუთზე ნუგზარ სპანდერაშვილმა ანგარიში სხვაობა შეამცირა, თუმცა მეტის გაკეთება ვერ შეძლეს. ამისთვის დროც აღარ ეყოთ, მაგრამ ნაგება კიდევ ჯანდაბას, თამაშის ბოლოს ძალზე უსიამოვნო ინციდენტი მოხდა - ჯგუფური ჩხუბი ატყდა, რის შედეგადაც ორივე გუნდის მწვრთნელი გააძევეს. როგორც მოგვიანებით გაირკვა, მიზეზი სლოვაკთა ერთ-ერთი მწვრთნელის საქციელი გახდა - დროის გაყვანის მიზნით აუტის მოსანოდებლად მისულ კუციას ეუხებო: ფეხიც დაუდო, ბურთიც გადაუგდო და დაეჯახა კიდევ.

ამან ცეცაძე პირდაპირ გააცოფა, მისი დანყნარება ვერც მოთამაშებმა შეძლეს და ვერც ჩვენივე მწვრთნელმა. განვე-გამოწვევაში ორივე გუნდის სათადარიგო სკამზე მყოფები ჩაებნენ და სიტუაცია რამდენიმე წუთის განმავლობაში არ დანყნარდა. სამწუხაროდ, ცეცაძე აუცილებლად მიიღებს სასჯელს უეფასგან, როგორც სლოვაკთა მწვრთნელი, თუმცა რა სიმძიმისა იქნება, ჯერჯერობით ამის თქმა შეუძლებელია. მანამდე კი მარტში სლოვაკეთი საქართველოში უნდა გვესტუმროს და წინ კიდევ ერთი დაძაბული თამაში გველოდება.

ამ გუნდების პარალელურად, ამავე დღეებში, ამხანაგური მატჩი გამართა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა. მათ ფინელი თანატოლები მიიღეს და პირველ მატჩში 2:0, მეორეში კი 2:1 იმარჯვეს.

18-წლამდელთა
ცენტრალური მატჩები

დაიწყო 18-წლამდელ კალათბურთელთა საქართველოს ჩემპიონატი. 26 ნოემბერს ფრიად საინტერესო ტური გამოვიდა, რადგან ერთმანეთს გათამაშების ფავორიტები და სატურნირო ცხრილის მეზობლები შეხვდნენ: „დინამომ“ „აკადემიას“ 82:68 მოუგო, „სოხუმმა“ კი 63:47 დაამარცხა „აკადემია 2“.

დინამოელთა შეხვედრა აკადემიელებთან წრის ცენტრალურ დაპირისპირებადაც კი მოინათლა. საწყისი ორი პერიოდი შედარებით თანაბარ ბრძოლაში წარიმართა, მესამე კი „დინამომ“ 14:4 მოიგო და მატჩის ბედიც გადაწყვიტა: მომავალი გამარჯვებულები 61:53 დაწინაურდნენ და სასურველი ანგარიშის ბოლომდე შენარჩუნება არც გასჭირვებიათ. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ვლადიმერ თაფაქარაშვილმა, რომელიც გუნდს 32 ქულით შეენია - 6 ორქულიანი ესროლა და 3 ჩაგდო, 10-დან 6 სამქულიანი სროლა გამოიყენა და 8 საჯარიმოდან ყველა ჩააგდო.

საკმაოდ დაძაბული გამოდგა მეორე მატჩიც სოხუმელთა

მონაწილეობით, რომელთა რიგებშიც, 27 ქულითა და 18 მოხსნით, გამოირჩა ტანმალალი ნინახაზული საბა შარვაშიძე.

თასი საბარეჯომ
დაიბრუნა



საქართველოს ჭადრაკის ფედერაციამ, ბევრ სხვა სიახლესთან ერთად, ერთ კარგ ტრადიციასაც ჩაუყარა საფუძველი - ნანა იოსელიანის თასის გათამაშება რეგიონების ნაკრებ გუნდებს შორის.

წლეულს ეს ტურნირი 14-წლამდელთა შორის ჩატარდა. ის მესამედ გამართა და გურჯაანმა უმასპინძლა. ფავორიტებადაც მასპინძლები მიიჩნეოდნენ, მაგრამ საგარეჯოელებმა ყველა პროგნოზი თავდაყირა დააყენეს და თასი თავისთან წაიღეს.

მათ პირველ ტურში სიღნაღის გუნდს 5:1 მოუგეს, მერე კი თელავთან ფრედ ითამაშეს 3:3. გადამწყვეტი გამოდგა გურჯაანთან პაექრობა, რომელშიც საგარეჯოელებმა 5:1 იმარჯვეს, რითაც გადაწყდა კიდევ გამარჯვებულის საკითხი. ბოლო ტურში ლავიანტებს 4:2 მოუგეს და ოფიციალურად გაიფორმეს ჩემპიონობა. ამისთვის მათ, თასებთან და დიპლომებთან ერთად, 200-ლარიანი ვაუჩერებიც გადაეცათ, რომლებიც ნანა იოსელიანმა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ გადასცეს. მათ მწვრთნელ ირაკლი ქელივიძეს გადაეცა საუკეთესო კაპიტნისთვის დანესებული პრემია - 600 ლარი, აგრეთვე კახეთის ჭადრაკის ფედერაციის ან გარდაცვლილი პრეზიდენტის - ჯიმი ჯავახიას სახელობის თასი, რომელიც ამ ტურნირის გამართვის ინიციატორი იყო, თუმცა, სამწუხაროდ, მის ჩატარებას ვერ მოეხსნო.

ამ გამარჯვებით საგარეჯოელებმა, ერთი წლის შემდეგ, კვლავ დაიბრუნეს ნანა იოსელიანის სახელობის თასი.

ირაკლი თაყაიძე



**გამომცემლობა „ახალი განათლება“
გთავაზობს**



5 ლარი




12 ლარი



10 ლარი




9 ლარი



8 ლარი



4 ლარი



12 ლარი

**გაპურ სულაქაურის გამომცემლობა
ნაგვილი და მოგონილი ამბები**



სერია შედგენილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციალური გამოცემის ნაბიჯით.



სერიის ფასი – 32.40ლ

„ინტელექტი“ და „არტანუჯი“ გთავაზობს



15 ლარი

ეროვნული გამოცდების ისტორიები
გიორგი მიქაბერიძის, არჩილ თაბუკაშვილის, კონსტანტინე გარამის



19 ლარი

გავიგეოროთ მათემატიკა (I-II ნაწილი)
ნიგინი დანელიანი აბიტურიენტებისა და მასწავლებლებისთვის. მასალა დაგეგმილია პროგრამის მიხედვით და გადმოცემულია გამომცემლის, ანალიზის, ალბათობისა და სტატისტიკის საკითხები.



19 ლარი




ნიგინი I V-XVIII სს მწერლობა
ნიგინი II XIX საუკუნის მწერლობა
ნიგინი III XIX საუკუნის მწერლობა

ტესტები ქართულ ლიტერატურაში ეროვნული გამოცდისათვის

თითო ტომის ფასი – 13 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმოირიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735,
ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
შეკენის მსურველები დაგვიკავშირდით:
555 411 668, 599 88 00 73, 032 295 80 23

ეროვნული უნარები თეორიული მასალა



15 ლარი

ეროვნული უნარები ტესტები



15 ლარი

მასწავლებლის გიგლიოთეკა



ტექსტის გააზრება და ანალიტიკური წერა
კრებული მოიცავს მცირე თეორიულ მასალას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს, კერძოდ სხვადასხვა ტექსტებს: განსაზრებულ ტექსტებს შიდასწავლით და სავარჯიშო პასუხებით, ასევე მსახიობური ტექსტების გააზრების სავარჯიშოებს, ესენი წერის დროს გასათვალისწინებელ თეორიულ მასალას და კონკრეტულ ნიმუშებს.

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში



6.50 ლარი

ქართული (I-VI კლასი) მასწავლებლის გამომცემლისთვის



11 ლარი

სწოვარი დაწყებითი კლასებისთვის



14 ლარი

ინტერაქტიული მეთოდების კრებული



6 ლარი

კათედრის გაგების კორცფორი



6 ლარი



მასწავლებლის ბიბლიოთეკა
კრებული სრულად ფარავს პროგრამას I-IV კლასების კომპიონირებული გამოცდისთვის. მასში 1000-მდე ტესტური დავალებაა პასუხებით და მეთოდური რამომხდენებით.

15 ლარი

